148
1964.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЗАМОЗА 6

კიონერები ჩაის პლანტაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში-აჩუკი

ამ ნახატების ავტორია რევაზ ინასარიძე. იგი ჩაქვის რაიონის სოფ. კვირიკეს საშუალო სკოლის მოსწავლეა. მან ხატვა ადრე ბავშვობაში დაიწყო და მომავალში ხურს მხატვარი გამოვიდეს. ვაქვეყნებთ მის ოთხ ნამუშევარს. ამ ნახატებში ჩანს ავტორის უშუალობა, ფერისა და კომპოზიციის გრძნობა.

მონადირ

ცეკვა ქართული

ᲥᲝᲜᲬᲘᲚᲘᲡᲢᲘ ᲔᲚᲝᲕᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲗ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲚᲙᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲯᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲯᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

6 · ᲘᲕᲜᲘᲡᲘ · 1964

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ XXXVIII ᲬᲚᲘ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲙᲔᲜᲙᲐ

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ნახატი ᲯᲔᲛᲐᲚ ᲚᲣᲚᲣᲐᲡᲘ

ᲙᲔᲜᲙᲐᲡ ᲨᲘᲝᲓᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲘᲝᲓᲐ, ᲘᲡᲔ ᲨᲘᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲞᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲢᲔᲮᲘ ᲓᲐ ᲫᲔᲮᲕᲘᲡ ᲜᲐᲭᲔᲠᲘ ᲔᲚᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲙᲔᲜᲙᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲫᲔᲮᲕᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲪ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲚᲘᲐᲜᲘᲪ, ᲐᲡᲔᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲫᲔᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲭᲙᲣᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲐ.

ᲙᲔᲜᲙᲐᲡ ᲛᲝᲗᲝᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲐᲚᲐ ᲐᲔᲕᲡᲝ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ:

— ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲮᲕᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲝᲗ ᲙᲠᲔᲑᲐ.

— ᲠᲐ, ᲛᲝᲒᲨᲘᲕᲓᲐ?! — ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲐᲕᲘ ᲙᲘᲚᲝᲗᲘ ᲒᲐᲔᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲒᲔᲜᲙᲐ.

— ᲛᲔᲔ?.. ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲐᲒᲔᲠ, ᲣᲙᲕᲔ ᲔᲠᲗ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲕᲖᲘᲕᲐᲠᲗ.

— ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ — ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲗ.

—ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲥᲜᲐ — ᲙᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ?...

ᲔᲜᲙᲐᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲜᲐᲡ ᲙᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲐ. ᲝᲰ. ᲔᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ!.. ᲐᲑᲐ ᲠᲐ ᲭᲙᲣᲐ ᲐᲥᲕᲡ — ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲗᲣ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡ — ᲮᲕᲐᲚ?.. ᲡᲐᲓ ᲬᲔᲠᲘᲐ, — ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲝᲗ! ᲘᲡᲘᲪ ᲛᲨᲘᲔᲠ ᲙᲣᲭᲜᲖᲔ, ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ! ᲐᲮᲚᲐ ᲔᲜᲙᲐᲛ ᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲣᲗᲮᲠᲐᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ, — ᲐᲓᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲪᲮᲔᲑᲔᲜ, — ᲨᲔᲜ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲐᲠᲪᲮᲕᲔᲜᲝ — ᲔᲢᲧᲕᲘᲐᲜ. ᲔᲜᲙᲐ, ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲘᲪᲘᲝ, — ᲬᲐᲛᲝᲡᲫᲐᲮᲔᲑᲡ, ᲚᲘᲣᲡᲙᲐ — ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲢᲧᲕᲘᲡ, — ᲓᲐᲣᲧᲕᲘᲠᲔᲑᲡ: — ᲔᲜᲘᲐ, ᲐᲑᲐ ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲛ, ᲐᲠ ᲒᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ? — ᲓᲐ ᲐᲢᲘᲠᲓᲔᲑᲐ; ᲕᲘᲢᲙᲐ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲤᲠᲩᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲜᲔᲢᲐᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ: „— ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ...“ (ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲥᲕᲔᲨ ᲕᲘᲢᲙᲐᲡ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲬᲔᲠᲘᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ).

ᲐᲘ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲐ ᲔᲜᲙᲐᲛ ᲔᲜᲐᲡ ᲙᲑᲘᲚᲘ...

— ᲐᲮᲚᲐ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ, — ᲗᲥᲕᲐ ᲕᲘᲢᲙᲐᲛ. ᲚᲣᲡᲘᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲗᲔᲚ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲚᲣᲡᲘᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ, ᲝᲓᲜᲐᲕ ᲬᲐᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲘ�კᲘᲗᲮᲐ, — ᲘᲡᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲖᲐᲓ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲬᲐᲘ�კᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲙᲐᲪᲘ.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲬᲔᲠᲐ; ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲪ.

— ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ; ᲠᲐᲦᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲖᲠᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲕᲐ, — ᲗᲥᲕᲐ ᲒᲔᲜᲙᲐᲛ.

ᲮᲛᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲣᲦᲚᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲓᲜᲔᲜ.

ᲔᲜᲙᲐᲛ ᲒᲔᲜᲙᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ: „ᲧᲝᲩᲐᲦ, ᲒᲔᲜᲙᲐ!“ ᲛᲔᲠᲔ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲔᲓᲐ. ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲩᲐᲜᲓᲐ ᲐᲚᲐᲧᲐᲤᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲖᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ.

ᲔᲖᲝᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲪᲚᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲣᲒᲣᲜᲓᲐ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲐᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲐᲒᲣᲠᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ. ᲬᲕᲘᲛᲓᲐ. ᲢᲐᲚᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ, ᲝᲓᲜᲐᲕ ᲬᲐᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲘ�კᲘᲗᲮᲐ, — ᲘᲡᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲖᲐᲓ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲬᲐᲘᲕᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲙᲐᲪᲘ.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲬᲔᲠᲐ; ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲪ.

— ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ; ᲠᲐᲦᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲖᲠᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲕᲐ, — ᲗᲥᲕᲐ ᲒᲔᲜᲙᲐᲛ.

ᲮᲛᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲣᲦᲚᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲓᲜᲔᲜ.

ᲔᲜᲙᲐᲛ ᲒᲔᲜᲙᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ: „ᲧᲝᲩᲐᲦ, ᲒᲔᲜᲙᲐ!“ ᲛᲔᲠᲔ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲔᲓᲐ. ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲩᲐᲜᲓᲐ ᲐᲚᲐᲧᲐᲤᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲖᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔ.

ᲔᲖᲝᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲪᲚᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲨᲔᲛᲝᲒᲣᲒᲣᲜᲓᲐ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲐᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲐᲒᲣᲠᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ. ᲬᲕᲘᲛᲓᲐ. ᲢᲐᲚᲐᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲜ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ, ᲝᲓᲜᲐᲕ ᲬᲐᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲗ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბუქსავდება, ჩავიდეთ და შოფერს მივეხმაროთო. ენკამ ისევ დუმილი არჩია. ფიქრი ფიქრს რგოლებივით გადაეგება და... ისევ ძეხვი და პური დაუდგა თვალწინ. აი, კრება დამთავრდა. აი, უკვე სახლშია... განჯინა გამოაღო და... აგერ — ძეხვი, აგერ — პური... უჰ, რა სასიამოვნო სუნი აქვს ბორშს!..

ენკა მაშინღა გამოერკვა ფიქრიდან, როცა თვითმცლელმა აგური რახარუხით დაყარა მიწაზე.

ბავშვები სასპორტო დარბაზის მშენებლობაზე ალაპარაკდნენ.

— დარბაზის მშენებლობა ძალზე ჭიანურდება, ამ საქმეში ჩვენც უნდა შევიტანოთ წვლილი: აგურები ისე დავალაგოთ, რომ მშენებლებს აღარ გაუჭირდეთ მათი გამოყენება, — თქვა ვიტკამ.

— მერე, როდის? — ჰკითხა ენკამ.

— უნდა დავთქვათ დრო.

— ამას რა დათქმა უნდა? აი, თუნდაც ახლავე...

— მერე, გეგმა?

— რა დროს გეგმა და დროის დათქმაა...

ყველანი დაძაბულად უსმენდნენ ენკას და ვიტკას კამათს.

— ძალიან თუ გინდა, ჩადი და მარტომ იმუშავე, უგეგმოდ... ჩვენ კი... შევადგენთ გეგმას და...

— ჩავალ, რატომაც არა, ჩავალ, მარტო ვიმუშავებ, — გაბრაზდა ენკა და მერხიდან წამოხტა.

ჩავა, მარტო იმუშავებს, წვიმა კი არა, თუ გინდა ქარბუქიც იყოს...

კარებამდე რომ მივიდა, შემობრუნდა და ხმამაღლა თქვა:

— დღეს გასაკეთებელი საქმე პიონერმა ხვალისთვის არ უნდა გადადოს. აი, ნახავთ — ჩავალ და თქვენც ჩამოხვალთ, არა გჯერათ? აი, ნახავთ — ჩამოხვალთ!..

ენკა ეზოში ჩავიდა. წვიმდა. აგურების ხორასთან მივიდა და თითო ხელით თითო აგური აიღო. ეზო მიათვალ-მოათვალიერა, მერე შენობის კედელთან მივიდა და აგურები დააწყო. რომ შემობრუნდა — აგურების გროვას შეხედა და გაიფიქრა: „ეეე, რამდენია!“ მერე რაღაც ჩაიმღერა. ასე სიმღერა-სიმღერით მიმოდიოდა წინ და უკან, — კედლისკენ — აგურებით, უკან — უაგუროდ, კედლისკენ — აგურებით, უკან — უაგუროდ... დაიღალა. ეჰ, ერთი ნაჭერი ძეხვი და ერთი ნატეხი პური ჰქონდეს?!

შებინდდა. აგური დამძიმდა. ენკას უკვე აღარ სციოდა.

ფანჯრიდან გოგო-ბიჭებმა გადმოიხედეს. ენკას არ აუხედნია, მაგრამ გრძნობდა მათ მზერას. ბავშვები რაღაცას ჩურჩულებდნენ... იჩურჩულონ, რამდენიც უნდათ. მოიწვიონ ხვალ რაზმის საბჭოს კრება და გაკიცხონ... უგეგმოდ მუშაობისათვის...

მეტი მართლა აღარ შეუძლია, დაიღალა.

უცებ, ენკასთან ენკა გაჩნდა.

— მომეცი! — უთხრა ენკამ.

— აგერ! — ხელი გაიშვირა ენკამ, — ხედავ, რამდენია?

ენკამ აგურებთან მიირბინა, ორი აგური აიღო და ენკას უთხრა:

— მარტო ხომ ვერ გადაზიდავ, მოგეხმარები.

— გადავზიდავ, რატომაც არა. თუ საჭირო იქნა, მარტოც მოვერევი...

ადვილი წარმოსადგენია, რა გემრიელად ისადილებდა იმ დღეს ენკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი კოლეგის სიტყვა

ჯურხა ნადირაძე

ნახატები ნიკოლოზ იგნატოვისა

სოხუმის მახლობლად აღმართული ეგა იაშტუხი საქართველოში ადამიანის უძველესი სადგომია. ამ მთაზე 200 ათასი წლის წინ, ნახევრად ბალნით შემოსილმა, ღონიერმა და სწრაფმა იაშტუხელმა კაცმა გააკეთა პირველი იარაღი, — ქვის ხელნაჯახი და ბუნებას შეებრძოლა არსებობისათვის...

ბევრ, ძალიან ბევრ საიდუმლოს ინახავენ მდინარე ბზიფისა და გუმისთის ხეობებში სუროთი შემოსილი მწვანე კლდეები. სწორედ ამ საიდუმლოებების ამოხსნა იზიდავს აქ ყოველ ზაფხულს არქეოლოგებს, ისინი გულმოდგინედ სწავლობენ გამოქვაბულებში მცხოვრები ძველი ქვის ხანის ადამიანის ისტორიას...

ერთ ზაფხულს ექსპედიციის წევრები სოფელ წებელდაში დავბანაკდით. ამ სოფლიდან ქვაჭვარის გამოქვაბულამდე, სადაც ჩვენ არქეოლოგიურ გათხრებს ვაწარმოებდით, რვა კილომეტრია. წებელდიდან ქვაჭვარამდე მთელ გზას ისე გაივლით, რომ ერთ სახლსაც ვერ შეხვდებით.

ქვაჭვარის გამოქვაბულთან, მწვანით შემოსილი კლდეების ძირში, მიტოვებული ოდა დგას. ამ ოდასთან ყოველ დილით სოფელ აზათიდან ამოსული მუშები გველოდნენ ხოლმე. მათ შორის ერთი ცისფერთვალება, ხუჭუჭთმიანი ბიჭი იყო. მას ამირანი ერქვა. იგი ყოველ დილით მოგელდებოდა ხოლმე თავისი ჭრელფეხებიანი წითელი კვიცით, ტყიან ფერდობზე ცვრიან ბალახს მოთიბავდა, ოდასთან დაბმულ ცხენს დაუყრიდა და მერე ჩვენთან მოდიოდა სამუშაოდ.

გულადი ბიჭი იყო ამირანი, მაგრამ გამოქვაბულში მაინც ვერ შევიყვანეთ. სხვა მუშებსაც ეშინოდათ გამოქვაბულში შესვლა.

ბევრ საშინელ ამბავს ყვებოდნენ აზათელი გლეხები ქვაჭვარის გამოქვაბულზე. ჭინკებისა და ავი სულების ბუდეაო, — ამბობდნენ მოხუცები.

ერთ დღეს, არქეოლოგი გურამ გრიგოლია გამოქვაბულში შევიდა და ორ საათს აღარ გამოჩენილა. მოხუცი თოთია და ალექსანდრე ძალზე დადარდიანდნენ. — არ უნდა შესულიყო, — ამბობდნენ ისინი და საეჭვოდ აკანტურებდნენ ჭაღარა თავებს. მოხუცები მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ, როცა გურამი უვნებელი გამოვიდა გამოქვაბულიდან. მან წყლით სავსე ხელადა გაუწოდა ალექსანდრეს და უთხრა: — დალიე, ძია ალექსანდრე, ჭინკებმა გამომატანეს შენთან. ალექსანდრემ ცალი თვალით ჩაიჭყიტა ხელადაში და მერე ორი ყლუპი წყალი მოსვა.

— ო, რა გემრიელი წყალია, ბიჭო, — მოულოდნელად წამოიძახა ალექსანდრემ და წარბი მაღლა აძგიბა. როდესაც წყალი ამირანმაც დალია, ალექსანდრეს უთხრა: — სულ ტყუილი ყოფილა შენი ნალაპარაკევი, ბაბუა ალექსანდრე.

— შედი აბა შიგ, — თქვა განაწყენებულმა ალექსანდრე ბაბუამ.

— რატომაც არ შევალ, — წამოიძახა ამირანმა და გურამს შეხედა. გურამიც თითქოს ამას უცდიდაო, — წავიდეთ, — უთხრა მან ამირანს და გამოქვაბულისაკენ შეტრიალდა. ამირანი შეყოყმანდა, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ იყო. შევედით გამოქვაბულში.

ათიოდე მეტრის შემდეგ გამოქვაბულის ჭერი ისე დადაბლდა, რომ ფორთხვით მივიწევდით წინ. ჩამობნელდა და აგრილდა. ავანთეთ ჯიბის ნათურები და განვაგრძეთ გზა. ყველანი ვგრძნობდით გვარჯილის მძაფრ სუნს. სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა ღამურების ნელი ფაჩუნი. გამოქვაბულის ამ ერთადერთ ბინადართ არ სიამოვნებდათ სტუმრების მოსვლა; მოგვაგონდა ფრანგი მეცნიერის, სპელეოლოგ კასტერეს მიერ წლების მანძილზე ჩატარებული ცდები ღამურებზე და ამ მიზნით ჩვენ რამდენიმე ღამურა დავიჭირეთ, სოხუმში ჩავიყვანეთ, ფეხზე ნიშნები შევაბით და საღამოზე სოხუმის პლაჟის მახლობლად გავუშვით. მეხუთე დღეს, როცა ქვაჭვარის გამოქვაბულში ისევ ჩავედით, ვიპოვეთ ერთი ღამურა, რომელსაც ფეხზე ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ შებმული ნიშანი ჰქონდა. საკვირველები არიან ღამურები: მათ თვალები არა აქვთ და თავიანთ საცხოვრებელს კი შორი მანძილიდანაც ადვილად აგნებენ. ჩვენმა ღამურამ გადაიფრინა სამოცი კილომეტრი, გადაუარა მთებს, ტყეებს, მდინარეს, ხეობებს, შავი ზღვიდან აფხაზეთის მთებში აფრინდა და თავის ბუდეს დაუბრუნდა.

ბევრ სხვა საკვირველებასაც შეხვდებით ქვაჭვარის გამოქვაბულში. ორმოცდაათ მეტრს რომ გაივლი, შემოგესმება ხმაური, რომელიც ტაშის შემოკვრას გავს. ამირანი ამანაც დააფეთა:

— გესმით?! — შესძახა მან.

— რა?

— აი, ვიღაც ტაშს უკრავს! — თქვა და შიშმორეული თვალებით გურამს მიაჩერდა.

— ნუ გეშინია, ამირან, გამოქვაბულის ჭერიდან წყალი იღვრება, ქვებზე ტლაშუნებს. ამას შენ თვითონ ნახავ, აბა გამომყევი. ბიჭი ოდნავ დამშვიდდა, გაუბედავი ნაბიჯებით გაჰყვა გურამს და გაოცებული მიაჩერდა მიწისქვეშა საკვირველებას.

აქ, ერთ დარბაზში, ათასეული წლების განმავლობაში, კირქვანარევ წყლის წვეთებს უზარმაზარი ფანტასტური ყვავილები დაუხატავთ შვეულ კლდეზე. სინათლის შუქზე ათასფრად ელვარებენ ანკარა წყლის წვეთები. ამ წვეთებმა და დროის ხანგრძლივობამ შექმნა ბუნების ეს ლამაზი ზღაპარი.

„ყვავილების“ დარბაზში უამრავი წყაროებია, ერთ-ერთ მათგანში გურამმა დოქი ააბუყბუყა.

ამირანს გაეცინა.

— რას იცინი? — შეეკითხა გურამი.

— არაფერს, აი, დოქი ბუყბუყებს.

— მერე რა, რომ ბუყბუყებს.

— არაფერი... ისე... ჩვენს წყაროშიც ასე ბუყბუყებს.

გურამს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა. ალბათ მიხვდა, რომ ამირანი გაახარა ნაცნობმა ხმამ უცნობ სამყაროში. ამ ხმამ دااااااا

აქვს და ამიტომ ჭამა უძნელდება. იგი ძვალმსხვილია. ვეებერთელა მკლავებზე ჩვარივით ჰკიდია დამჭკნარი კანი. მკერდი უხეში თმით აქვს შემოსილი, ძლივს დაბაჯბაჯებს.

თენდება. მოხუცს სცივა, იგი გამოქვაბულიდან გამოდის და მზეს ეფიცხება, შემდეგ ისევ შედის გამოქვაბულში და იქიდან კაჟის ლოდი გამოაქვს. კლდის ძირში ჯდება, გრდემლზე პატარა ანატკეცებს თლის. ამასობაში საუზმე ყველამ დაამთავრა და მოხუცს გარშემო შემოუსხდნენ. იგი კარგად აკეთებს იარაღებს. ყველა გრძნობს, რომ მოხუცი მალე მოკვდება და ჩქარობენ მისგან იარაღის გაკეთება ისწავლონ. იარაღებს სხვებიც აკეთებენ, მაგრამ მოხუცი ყველაზე უკეთესად თლის ისრის წვერებს, კარგად აკეთებს პატარა დანებს, საფხეკებს, სახვრეტებს. ისრის წვერის გაკეთება მხოლოდ მოხუცმა იცის. მშვილდ-ისარსაც ყველაზე უკეთესად ხმარობს. ახალგაზრდები იჩქარიან მისგან ყველაფერი ისწავლონ. ისინი შიშვლები სხედან მიწაზე და მოხუცს შესცქერიან. ყველა მათგანს ხელებზე დიდი და უხეში ფრჩხილები აქვს, თმები—მტვრიანი და დაბებკილი. ღრმად ჩამჯდარი თვალები უელავთ გაფანჩული წარბების ქვეშ და გაკვირვებას გამოხატავენ. მოხუცი ოსტატურად თლის პატარა კაჟის ანატკეცს. ანატკეცი თანდათან ღებულობს ისრის წვერის ფორმას. ამასობაში მზე გადაიხარა და ველურები სანადიროდ ემზადებიან. სანადიროდ მიდის ყველა, ვისაც ღონე ერჩის. ქალები, მოხუცები და მოზრდილები დიდხანს ჩოჩქოლობენ გამოქვაბულის წინ. ისინი შეიარაღებულნი არიან ქვის ხელნაჯახებით, ვეებერთელა კეტებით. ზოგ მათგანს მშვილდ-ისარი უჭირავს ხელში. ველურებმა უნდა გაიარონ ხეობა, ავიდნენ მაღალი კლდეების თავზე და იქ აიტანონ ლოდები. კლდეების ძირში ერთადერთი ბილიკი გადის. ღამღამობით ბილიკზე დათვები მიდიან მდინარეზე წყლის დასალევად. ველურებმა იციან ეს და სულგანაბულნი უთვალთვალებენ მხეცებს. მოხუცს არ უნდა სანადიროდ წასვლა, მას აღარ შეუძლია მხეცებთან ბრძოლა, მაგრამ პალეოლითელი ადამიანის დაუწერელი კანონის თანახმად, სანადიროდ მიდის ყველა, ვინც ნადირობა ისწავლა და ფეხზე დგომა შეუძლია. მოხუცი გამოქვაბულში შედის, იქ ცოტა ხანს დაბორიალობს, შემდეგ გადმოზნექილ კლდის ძირში მიწას თხრის და პატარა ორმოში სათუთად დებს ისრის წვერს, კაჟის გრდემლს და რამდენიმე ანატკეცს.

ციცაბო კლდეზე სწრაფად ეშვება მეთაური. მას მიჰყვებიან სხვები. ფერდობზე ნელ-ნელა მიაბიჯებს მოხუცი. მოხუცს უჭირს სიარული. დამჭკნარი ფეხები კანკალით ეძებენ საიმედო დასაყრდენს. ხელებით გაუბედავად ეპოტინება ტოტებს. მოხუცი მალ-მალე ისვენებს და ფიქრობს, რომ აღარ აქვს სიცოცხლის უფლება. აღარ შეუძლია ფეხდაფეხ სდიოს ფეხმარდ ახალგაზრდებს, შეებრძოლოს მხეცებს, და მოიპოვოს საზრდო. იგი ზედმეტი ბარგია ოჯახისათვის. სიკვდილის შიში უბიძგებს მოხუცს. იგი უკანასკნელ ღონეს იკრებს და ხელებითა და ფეხებით მიბობღავს ფერდობზე, დრო და დრო ჩერდება და ყურს უგდებს ღრიანცელს. ხმები თანდათან ნელდება და შემდეგ წყდება. ღამის ბინდი ნელ-ნელა ედება უზარმაზარ ხეებს. მოხუცი სიცოცხლეს ესალმება, მაგრამ იგი უკვალოდ არ ჰქრება: მან მომავალ თაობებს ასწავლა მშვილდ-ისრის გაკეთება. ქვაჭვარის გამოქვაბულის ერთ კუთხეში დარჩა მის მიერ გამოთლილი კაჟის ისრის პირი. საუკუნეების ფერფლი ნელ-ნელა ფარავდა მას და აი, 1959 წლის სექტემბერში კვლავ იხილა მზის შუქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედმუნდ ნიზიურსკი

ნახატები ბ. ვალკასი

მარეკ პეგუსის არაჩვეულებრივი თავგადასავალი

**შავი ველოსიპედი ვისლასთან.
პორუჩიკ პროტის ჰიპოთეზა.
მაძებარი იპოლიტ კვასი.
ვინ ხმაროგდა გამლებს?
ვალერიანის წვეთების საიდუმლო.
რა ალიარა ალეკმა.**

დილის შვიდ საათზე პეგუსებთან ჩესეკი მიიჭრა.

— მარეკი დაბრუნდა? — კარებშივე იკითხა.

მარეკის მშობლები დუმდნენ.

—ვერაფერი გაიგეთ?

— ვერაფერი, — ნაღვლიანად თქვა პან პეგუსმა.

ჩესეკმა შიშისაგან თვალები გადმოკარკლა.

— ესე იგი, მართლა დაიღუპა?

ამ დროს ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყველამ ყურმილისაკენ წაიწია. მილიციიდან ლაპარაკობდნენ; ვისლასთან, გდანის სანაპიროს ახლოს, ნაპოვნია მამაკაცის სპორტული ველოსიპედი, „ბალტიკის“ მარკისა. პან პეგუსს იძახებდნენ სამდინარო მილიციის კომისარიატში, — უნდოდათ დაედგინათ, მარეკისა ხომ არ იყო ეს ველოსიპედი.

— როგორ უნდა ვიცნო, — უთხრა დაბნეულმა პან პეგუსმა ცოლს, — ვარშავაში ათასი ასეთი ველოსიპედია, რა ფერისა იყო, ისიც კი არ მახსოვს. იქნებ შენ უფრო უკეთ...

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ველოსიპედი შავი იყო, — თქვა დედამ.

— ველოსიპედი ბევრია და ნახევარზე უფრო მეტი შავად არის შეღებილი. იქნებ, შენ მაინც იცნო, ჩესეკ?

— მიუბრუნდა ჩესეკს პან პეგუსი.

— დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ შეიძლება ვიცნო... უკანა თვალზე ხრახნსაცობი მომძვრალი ჰქონდა, ჩანგალი კი მარჯვენა მხრიდან გაფხაჭნილი იყო, — ამას წინათ ხეს დავეჯახეთ. ამის გარდა... ამის გარდა... წინა თვალის საბურავზე წითელი საკერებელი ადევს, მე თვითონ ვეხმარებოდი მარეკს შეკეთებაში...

— რა თქმა უნდა, ეს მარეკის ველოსიპედია, — თქვა ჩესეკმა, როცა მილიციაში „ბალტიკას“ ახედ-დახედა. კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ შენიშნა, რომ პან პეგუსი ძალიან გაფითრდა და არაფერი თქვა.

— სად იპოვეთ ველოსიპედი? — ჩუმად იკითხა პან პეგუსმა.

პორუჩიკი ერთხანს ყოყმანობდა.

— ვისლასთან, გდანის სანაპიროს მიდამოებში.

პან პეგუსმა ხელები აიფარა სახეზე.

— ღმერთო ჩემო, — აღმოხდა ჩურჩულით.

— ცუდს ნურაფერს იფიქრებთ, — ცდილობდა ენუგეშებინა მამა ოფიცერს, — ბიჭუნას უსათუოდ ვიპოვით.

— ახლა უკვე... თითქმის უკვე... თითქმის უკვე ნათელია... რა დაემართა მარეკს, — გაახილა ჩაწითლებული თვალები პან პეგუსმა.

— ეს ჯერჯერობით ვერაფერს ვერ ამტკიცებს, — თავი გაიქნია პორუჩიკმა, — შესაძლებელია, ველოსიპედი მოიპარეს... შესაძლებელია აგრეთვე... — პორუჩიკი კვლავ შეყოყმანდა.

— თქვით, თქვით, დაამთავრეთ! — დაძაბული მიშტერებოდა ოფიცერს უბედური მამა.

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1, 2, 3, 4, 5.

— შესაძლებელია, ველოსიპედი განზრახ დააგდეს იქ, რომ შეექმნათ შთაბეჭდილება, ვითომ ბიჭი ვისლაში დაიხრჩო.

— ასე გგონიათ?..

— სრულიად შესაძლებელია. მე პირადად უარვყოფ იმ მოსაზრებას, რომ თითქოს ბიჭი ვისლაში ბანაობდა. მაშინ ტანსაცმელიც უნდა ეპოვათ. ტანსაცმელი კი ვერ იპოვეს. საერთოდ, საეჭვოა, რომ ასეთ სიბნელეში ბიჭი საბანაოდ ჩასულიყო ვისლაში.

— ოჰ, თქვენ არ იცნობთ მარეკს, ისეთი ანცი და ონავარია, რომ!..

— არა, მაინც არ მჯერა ეს ვერსია, — თავი გაიქნია მილიციელმა, — მე უფრო მეტად მაფიქრებს თვლების გაღუნული მანები.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს უბედური შემთხვევის შედეგია?

— არა, მაშინ დაზიანებასხვა ხასიათისა იქნებოდა. ეს გაღუნული მანები ცხადყოფენ მხოლოდ ერთს: ველოსიპედი ძალზე გადატვირთული ყოფილა.

— გადატვირთული?

— დიახ. ველოსიპედზე უთუოდ ზორბა ვიღაც იჯდა, ანდა, მძიმე ტვირთი ჰქონდა მოკიდებული, საბურავმა ვერ გაუძლო და თვალი მთლიანად გაიღუნა.

— ...თუ ასეა, მაშინ...

— თუ ასეა, მაშინ საეჭვოა, რომ ამ ველოსიპედზე თქვენი ვაჟი მჯდარიყო და მდინარის პირს აჰყოლოდა; რამდენს იწონის თქვენი ბიჭი?

— ორმოც კილოგრამს.

— არა! ჩვენი ექსპერტის განსაზღვრით, დატვირთვა აღემატებოდა ას კილოგრამს.

— მაშ, როგორ ხსნიან ბიჭის გაუჩინარებას?

მილიციელმა თითები აათამაშა მაგიდაზე.

— მეტად უცნაური ამბავია, — აღიარა მილიციელმა. — ჯერჯერობით გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია.

— იქნებ თქვენ რაიმე ჰიპოთეზა გაქვთ?

— დიახ... მაქვს ჰიპოთეზა, მაგრამ ეს მხოლოდ ისე... ჩემი ვარაუდია. აი, რა...

მკვდარივით გაფითრებულ უბედურ მამას რომ შეხედა, მილიციელი შეწუხდა და აღარაფერი თქვა. მერე ადგა, კედლის აფთიაქიდან პატარა ბოთლი და კოვზი გამოიღო.

— რატომ გაჩუმდით? — იკითხა მამამ.

— ყველაფერს გეტყვით, ოღონდ... სანამ ეტყოდეთ, ერთი კოვზი ეს სითხე დალიეთ.

— რა სითხე?

— ნერვების დასამშვიდებელი წამალია.

პან პეგუსმა გადაყლაპა ერთი კოვზი ტკბილი, გულისამრევი მიქსტურა.

— აი, რა: შესაძლებელია ბიჭი გაიტაცეს, — თქვა მილიციელმა.

წუთით დუმილი ჩამოვარდა.

მილიციელის შეთავაზებული წამალი რომ არა, საცოდავი პეგუსი ასე მშვიდად ვერ მოისმენდა ამ საშინელ ჰიპოთეზას.

ფართოდ გახელილი თვალებით მიაშტერდა იგი მილიციელს.

— რატომ, მაინც რატომ ფიქრობთ ასე...

— ყველა მოწმემ თავის ჩვენებაში თქვა, რომ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ბიჭი მოუსვენრად იყო და რაღაც აწუხებდა... ეშინოდა: ვიღაცა დამდევს უკან და მითვალთვალებსო. შემდეგ ფაქტები, შემაშფოთებელი ფაქტები: ჩანთა გამოუცვალეს... ამის შემდეგ, ვიღაც საეჭვო ტიპი დაეძებს; კიდევ მეტი, — ღამით ოთახში ფანჯრიდან შემოდიან და, ბოლოს — დილით ჩანთას უბრუნებენ.

— თქვენ ამბობთ სწორედ იმას, რაც ჩვენმა მდგმურმა პან ფანფარამ თქვა.

— ეტყობა, თქვენს მდგმურს კრიმინალისტური ნიჭი ჰქონია, — ღიმილით მიუგო პორუჩიკმა.

— მაინც, რა მიზანი უნდა ჰქონოდათ ბავშვის გამტაცებელებს? არა მგონია, რომ გამოსყიდვის იმედი ჰქონდეთ, — ჩვენ მდიდრები არა ვართ.

— თქვენ იძლევით გამოძიებისათვის გადამწყვეტ შეკითხვას, — თქვა პორუჩიკმა პროტმა. — ჩვენ რომ შეგვეძლოს ამაზე პასუხის გაცემა, საქმე თითქმის გახსნილი იქნებოდა. ბოროტმოქმედების მოტივი, — აი რა არის ბურუსით მოცული ამ საქმეში.

— ესე იგი, თქვენ ვერ გაიგეთ მოტივი!

— ახლა მიმდინარეობს გამოძიება, — თქვა პორუჩიკმა პროტმა. და პან პეგუსს აგრძნობინა: ამით ვამთავრებ თქვენთან საუბარსო. მაგრამ, როგორც კი შეხედა მწუხარებისაგან გულმოკლულ მამას, რბილად დაუმატა: — იმედს ნუ დაკარგავთ, ყველაფერი კარგად დამთავრდება, ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, ყველაფერს გავაკეთებთ.

* * *

დაიმედებამ ვერ ანუგეშა უბედური მშობლები. სახლში სასოწარკვეთილება გამეფდა.

პან ფანფარა სადღაც დაიკარგა. ღამის სამ საათზე რომ წავიდა ბიჭის საძებნელად, ჯერაც არ დაბრუნებულიყო. არ გამოჩნდა ათი საათისთვისაც, როცა, წესისამებრ, ყველა ერთად საუზმობდა, არც თერთმეტისათვის — როცა, როგორც წესი, იწყებდა ვარჯიშს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე.

ბოლოს, როგორც იქნა, თორმეტი საათისათვის გამოჩნდა; მართალია, მარეკი თან არ ახლდა, მაგრამ სამაგიეროდ თან ახლდა პან ცედური.

პან ცედური, ჩვეულებისამებრ, მეტად ელეგანტურად გამოიყურებოდა და ზომაზე მეტად სდიოდა სუნამოს სურნელება, — ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა გამოეხატა თანაგრძნობა მშობლებისათვის.

— საწყალი piccolo bambino! ღრმად შეძრული ვარ. una storia misteriosa!* რა მომხიბვლელი ბიჭუნა იყო. მართალია, ცოტა ჯიუტი, მაგრამ... დამშვიდდით, ჭირში გვერდში ამოგიდგებით და გაგამაგრებთ... აი, იდეალური ადამიანი — mono perfetto, რომელიც ყოველგვარ საქმეს გამარჯვებით აგვირგვინებს... — პან ცედური შემოტრიალდა, — სად არის იგი?

— მაესტრო სულ უკან მოგვდევდა, — თქვა პან ფანფარამ.

შემოსასვლელში არავინ არ იყო. პან ცედურმა საღარბაზო კარი მოაღლიავა. კიბის თავზე პატარა, წვერ-

---

* საიდუმლოებით მოცული ამბავია (იტალიურად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპარსული, მელოტი, წითელლოყებგამობერილი კაცუნა იდგა და გულღიად იღიმებოდა.

— აი, სად ყოფილა... — შვებით ამოისუნთქა პან ცედურმა. — აქ რას უდგეხართ, მეტრ?

— ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლე და კარის საკეტი შევისწავლე.

— რა დაადგინეთ?

— დავადგინე, რომ კარი გაუღიათ გამღებით, — თქვა კაცუნამ, — დიახ, კარი გაუღიათ გამღებით და, არა ერთხელ, არამედ — რამდენჯერმე.

— გამღებით? შეუძლებელია! — წამოიძახა პან პეგუსმა, — საერთოდ, თქვენ ვინა ხართ?

— წარუდგინე ჩემი თავი, მეგობარო, — მიმართა კაცუნამ პან ცედურს.

— ოჰ, მაპატიეთ... ისე გამიტაცა მეტრის აღმოჩენამ, რომ მთლად დავიბენი... ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ! სწორედ ეს გახლავთ mono perfetto — უდიდესი თანამედროვე მაძებარი, მაესტრო იპოლიტ კვასი.

— მოხარული ვარ, — ჩუმად თქვა გაოცებულმა პანი პეგუსოვამ, — თუმცა, საუბედუროდ...

— საუბედუროდ, — ჩამოართვა სიტყვა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პან პეგუსმა, — ჩვენ თქვენს შესახებ გვსმენია.

— პან იპოლიტ კვასი ამჟამად ისვენებს და ქორეოგრაფიული ხელოვნებით იქცევს თავს, — სასწრაფოდ განმარტა პან ცედურმა.

— ოჰ, ახლა გამახსენდა! — წამოიძახა ალეკმა. — თქვენ არ ახადეთ ფარდა კლუბ „სპარტაში“ სავარჯიშო ფეხსაცმლის დაკარგვის საიდუმლოებას? რა ბედნიერი ვარ, პან იპოლიტ, რომ შემიძლია ხელი ჩამოგართვათ.

ალეკმა ხელი მაგრად ჩამოართვა მაძებარს.

— შენ მთლად სწორად ვერ გამოთქვამ ჩემს სახელს, მეგობარო, — შენიშნა იპოლიტ კვასმა, — ჩემს სახელში არის ორი „პ“ და ორი „ლ“.

— მაპატიეთ... ეს სახელი პირველად მესმის.

— მართალსა ბრძანებთ, მეგობარო, ეს სახელი თავისებურად მართლაც ერთადერთია. საქმე იმაშია, რომ გარემოებამ მაიძულა გამომეცვალა ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი.

— რატომ გაიძულათ?

— სამას ოცდარვა იპოლიტ კვასი ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე წლის წინათ. სწორედ იმ წლებში მე ვეწეოდი ყველაზე საინტერესო სამძებრო მოღვაწეობას.

— არ მესმის.

— მაძებრებს, ჩემო ბიჭუნი, საერთოდ, ძნელი სამუშაო აქვთ, მით უმეტეს — სახელგანთქმულ მაძებრებს. როცა გაზეთები მადიდებდნენ, ბანდიტები მოსაკლავად დამდევდნენ, ქალები თაყვანსა მცემდნენ, ახალგაზრდები კი წერილებით მავსებდნენ, ყველაფერი აირია, რადგან მე, მეგობარო, გარეგნობას ისე ვიცვლი, როგორც ხელთათმანებს, და გაზეთები ადიდებდნენ, ქალები თაყვანსა სცემდნენ, ახალგაზრდები წერილებით ავსებდნენ და ბანდიტები მოსაკლავად დასდევდნენ სამას ოცდარვა იპოლიტ კვასს, რომლებიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ეს იმიტომ, რომ არავინ არ იცოდა, იმ სამას ოცდარვა იპოლიტ კვასიდან როელი იყო სახელგანთქმული მაძებარი კვასი. აბა, რა არის ამაში გასაკვირი, — უდანაშაულო სამას ოცდარვა იპოლიტ კვასმა ატეხა განგაში და პროტესტი განაცხადა ჩემს წინააღმდეგ; ჩემი მოღვაწეობის გამო, მოულოდნელობებითა და ხიფათებით აივსო მათი ცხოვრება. და აი, უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, გადავწყვიტე შემეტანა დამატებითი ასოები ჩემს სახელსა და გვარში, და მას შემდეგ, ჩემო მეგობარო, მე მქვია **იპპოლლიტ კვასსი.**

ალეკს უნდოდა კიდევ რაღაც ეკითხა, მაგრამ მაძებარი საქმეს შეუდგა და დიდი გულისყურით დაიწყო ფანჯრის დათვალიერება.

— მილიციამ აქ უკვე იმუშავა? — იკითხა მან.

— დიახ, — თავი დაუქნია პანი პეგუსოვამ. — დღეს დილით, როდესაც ჩემი ქმარი კომისარიატში იყო, აქ მოვიდა კრიმინალისტების ჯგუფი. მათ რაღაც ფხვნილი შეაყარეს ფანჯარას, დაათვალიერეს და ფოტოსურათები გადაუღეს, მერე ბაღში გავიდნენ და რაღაცას ეძებდნენ.

— ვატყობ, — თქვა იპპოლლიტ კვასსმა, — რომ ყოველივე ამაოა. თუ გახსოვთ, იმ ღამეს ჭექა-ქუხილი იყო, ფანჯრის ქვეშ და ბილიკზე ყოველგვარი ნაკვალევი წვიმამ წაშალა. რაც შეეხება ფანჯარას, აქ კი ნაკვალევი თქვენ თვითონ წაგიშლიათ... თუ არ ვცდები, თქვენ ფანჯარა ქურდის გაქცევისთანავე მიგიხურავთ.

— მართალია. არა გვჯეროდა, რომ ნამდვილი ქურდი იყო, მაგრამ მაინც გვეშინოდა.

— ყოველივე ამასთან ერთად, წვიმა მოდიოდა, — შენიშნა იპპოლლიტ კვასსმა.

— დიახ, წვიმდა და უბერავდა ქარი.

— ფანჯრის რაფა, ალბათ, დასველდა და თქვენ, როგორც ეს კარგ დიასახლისს შეშვენის, რასაკვირველია, მაშინვე გაწმინდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ბარუ: ვისაც წიგნის კითხვა უყვარს, მას მუდამ გვერდით ჰყავს ერთგული მეგობარი, მხიარული თანამოსაუბრე, ბრძენი მრჩეველი და დამრიგებელი.

ფ. ვერნი: ვინც ბავშვობიდანვე იცის, რომ შრომა ცხოვრების კანონია, ვინც სიყრმიდანვე გაიგო, რომ პური მხოლოდ ოფლით მოიპოვება, მას შეუძლია გმირობის ჩადენა, რადგან საჭიროების ჟამს ამისთვის აღმოაჩნდება ნებისყოფა და ძალა.

რ. ინგერსოლი: სჯობს დაიმსახურო და არაფერი არ მიიღო, ვიდრე მიიღო დაუმსახურებლად.

კ. მარქსი: მიზანი, რომლის მისაღწევად არასწორი საშუალებებია საჭირო,—არაა სწორი მიზანი.

პლუტარქე: მე არ მინდა მეგობარი, რომელიც ყველაფერში მეთანხმება თავის ქნევით,— რადგან ამას ჩემი ჩრდილი უკეთესად აკეთებს.

პითაგორა: ზღვაში ცურვის დროს უნდა ვემორჩილებოდეთ მესაჭეს, ცხოვრებაში კი — სხვებზე უფრო გონიერ ადამიანს.

პ. სირი: არ დაივიწყო შენთვის გაწეული სამსახური, მაგრამ დაივიწყე ყველა ის სამსახური, რაც შენ თვითონ გაუწიე სხვებს.

ი. ტურგენევი: არ არსებობს ბედნიერება სამშობლოს გარეშე, ამიტომ ღრმად უნდა გაიდგა ფესვები მშობლიურ ნიადაგში.

ი. ჭავჭავაძე: ღონიერი და ჭირთა მძლეავი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია.

— სწორია. რადგან იმ ღამეს ფანჯარა ღია იყო, რაფა კი არა, იატაკიც კი დასველდა. ყველაფერი ჩვრით გავწმინდე, შემდეგ მოვიყვანეთ მეშუშე, რომ ახალი შუშა ჩაესვა — პან ფანფარამ ქურდს ფეხსაცმელი ესროლა და მინა ჩაამსხვრია. ამის შემდეგ, მთელი ფანჯარა გავრეცხე...

— ჰმ, — ამოიოხრა იპპოლიტ კვასსმა, — მეც სწორედ ასე ვიფიქრე. რა თქმა უნდა, ფანჯარაზე თითების არავითარი ანაბეჭდი აღარ იქნება. ეს გარემოება საქმეს ართულებს. ვეჭვობ, რომ მილიცია ამ საქმეში რაიმეს დაგვეხმარება! ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ, საერთოდ, ბოროტმოქმედთა უმრავლესობა, კვალის დაფარვის მიზნით, ხელთათმანებით მუშაობს.

— რაღა უნდა ვქნათ? — იკითხა შეწუხებულმა ალეკმა.

— შევეცადოთ, სხვაგვარად ვიმოქმედოთ, ჩემო ბიჭიკო. სადარბაზო კარებზე არსებობს გამღებების მეტად საინტერესო კვალი.

— გამღებების? — გაფითრდა ალეკი.

— სავსებით სწორია, — გამღებების... ეს კი, მეგობარო, იმას მოწმობს, რომ ქურდს შეეძლო შემოსვლა კარებიდან, და ამას იგი რამდენჯერმე ცდილა.

— რამდენჯერმე? — იკითხა შეშინებულმა პეგუსოვამ.

— რამდენჯერმე. ამას მოწმობს კვალი, გაფხაჭნილები და ჩანაჭყლეტები კლიტეზე... არსებობს ძალიან ძველი კვალი, დიდი ხნის კვალი, ახალი კვალი და სულ ცინცხალი კვალი. აი, ასეა საქმე, — იპპოლიტ კვასს თვალები ავისმომასწავებლად აენთო, — თქვენს სახლს მრავალჯერ წვევიან ბოროტმოქმედნი, რომელნიც მანიპულაციების დროს გამღებებს იშველიებდნენ.

—გამღებებს... მრავალჯერ?.. ეს საშინელებაა!—რომ არ დაცემულიყო, პანი პეგუსოვა ქმრის მხარს მიეყრდნო.

—მანცვიფრებს ამ მანიპულიაციათა სტილი. ნუთუ გამოჩნდა ახალი, ჩემთვის უცნობი ქურდი?! — განაგრძო იპპოლიტ კვასსმა და თან გამადიდებელი შუშით აკვირდებოდა ნაფხაჭნებს კლიტეზე. — ასე არ მუშაობს არც ერთი ჩემთვის ცნობილი ქურდი. ცუდია, თუ საქმეში გარეულია ვიღაც ახალი, ჩემთვის უცნობი ბოროტმოქმედი. ეს პირდაპირ ტრაგედია იქნებოდა.

— შეუძლებელია! — აღელვებით წამოიძახა პან ცედურმა. — თქვენ ხომ, maestro mio, სუყველას იცნობთ?

— ცხოვრება წინ მიდის, მეგობარო, მე კი — აი, უკვე რამდენიმე წელია, რაც ვისვენებ და მთლიანად ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ვარ მიცემული. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ახალი ბოროტმოქმედი გამოჩნდა. მაგრამ, მოდით, წინ ნუ გავუსწრებთ ფაქტებს... უპირველეს ყოვლისა, შევამოწმოთ კიდევ ერთი განსაკუთრებით ყურადსაღები და, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი გარემოება. პან ანატოლ! მე მინდა მოგცეთ ერთი პაწაწინა შეკითხვა.

— გისმენთ.

—მოდით, გავიდეთ თქვენს ოთახში, — თქვა მაძებარმა კვასსმა და გამადიდებელი შუშა ჯიბეში ჩაიდო.

* * *

როდესაც პან ფანფარას ოთახში შევიდნენ, იპპოლიტ კვასსმა სთხოვა მას, დამჯდარიყო და მთელი ყურადღება მოეკრიბა, თვითონ კი გახსნა თავისი მომცრო ჩემოდანი და იქიდან საცობებიანი, გაცვეთილი, პატარ-პატარა ფლაკონები ამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ამტკიცებთ, პან ანატოლ, რომ ქურდი გააქციეთ?

— დიახ, ვამტკიცებ.

— გთხოვთ, ყურადღებით იყოთ. ასე და ამგვარად, თქვენ შემორბიხართ ოთახში...

— შემოვრბივარ ოთახში, — გაიმეორა პან ანატოლმა.

— ხედავთ, ფანჯარაში ბოროტმოქმედია...

— ვხედავ — ბოროტმოქმედია.

— ყნოსავთ...

— ვყნოსავ... მაგრამ, არა, — არაფერს არ ვყნოსავ.

— მაგრამ, თქვენ ხომ იგრძენით რაღაც სუნი?

— სუნი? — გაიკვირვა პან ფანფარამ.

— მოიკრიბეთ ყურადღება და შეეცადეთ გაიხსენოთ, რა სუნი იდგა იმ დროს ოთახში, — არ ეშვებოდა იპოლიტ კვასსი.

— მართალია, — წაიჩურჩულა პან ფანფარამ, — ოთახში რაღაც უცნაური სუნი იდგა.

— უფრო გარკვევით, უფრო გარკვევით გაიხსენეთ —როგორი სუნი?

— ვერა... ვერ გეტყვით... რაღაც უცნაური, არაჩვეულებრივი სუნი იდგა.

— ფრიად სასიამოვნოა, — თქვა მაძებარმა კვასსმა და გაოგნებულ პან ანატოლს მოულოდნელად ატაკა ცხვირში პატარა ფლაკონი, — ასეთი სუნი ხომ არ იდგა?

პან ფანფარამ უნდობლად დაყნოსა:

— სასიამოვნო სუნია!

— მე არ გეკითხებით, — სასიამოვნოა თუ არ არის სასიამოვნო. მე უნდა ვიცოდე, ეს სუნი იყო ოთახში რომ შემოხვედით, თუ არა? თუ ეს სუნი გეცათ, ჩვენ მაშინ საქმე გვაქვს ცნობილი ჯიბგირთან — დოქტორ ბოგუმილ კადრელთან.

— რატომ?

— ეს ჟასმინის სურნელებაა; დოქტორი ბოგუმილ კადრელი ყოველთვის სავიზიტო სერთუკში გამოწყობილი „მუშაობს“ და ყოველთვის უხვად ისხურებს ჟასმინის საუკეთესო სუნამოს. ამ სუნამოს გამო, იგი მუდამ ხიფათში იგდებს თავს, მაგრამ მაინც ვერ ეშვება თავის საყვარელ სუნამოს. ასე და ამგვარად, პან ანატოლ, ეს ის სუნამოა თუ არა?

— არა... იმ სუნს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს სასიამოვნო, — დაიჭყანა პან ფანფარა.

— გასაგებია, — თქვა იპოლიტ კვასსმა და ელვისსისწრაფით ატაკა ცხვირში პან ანატოლს სხვა ფლაკონი.

პან ანატოლი ზიზღისაგან შეტორტმანდა.

— არა, ეს ის არ არის. რად გინდათ, რომ ასეთ საზიზღრობას მაყნოსვინებთ.

— იქნებ, ეს?..

— არა, — კინაღამ დააღრჩო სუნმა პან ფანფარა, — ეს ხომ ამიაკია.

— აბა — ეს?

— დიახ, ეს კი ნამდვილად ის არის.

— დარწმუნებული ხართ? უყნოსეთ კარგად, უყნოსეთ!

პან ფანფარამ ცხვირი მოიხოცა და ღრმად დაყნოსა.

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ეს ის სუნია.

— ვალერიანის წვეთებია, — თქვა მაძებარმა, მაგრამ იმ წამსვე მოეღუშა სახე. — ვალერიანის წვეთები, — გაიმეორა მან და თან რამდენჯერმე ჩამოისვა ხელი ნიკაპზე. — არ არის კარგი. ეს ნიშნავს რომ ოთახში შემოიპარა ვენჩესლავ უჩინარი, სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე მეტად სერიოზულია. ვენჩესლავ უჩინარი ყველაზე უფრო ვერაგი, ყველაზე უფრო მოხერხებული ბოროტმოქმედია ამ ქვეყნად... რა უნდოდა მას აქ? რატომ მოვიდა? — ჩაფიქრდა იპოლიტ კვასსი. — არ მომწონს ყოველივე ეს... თქვენი ვაჟი, პანი პეგუსოვა, საშინელ საქმეშია გაბმული.

მშობლები სასოწარკვეთით შეჰყურებდნენ მაძებარს.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, — თქვა პან ფანფარამ, — დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ვენჩესლავ უჩინარი იყო აქ?

— ო, ამაში ეჭვი არ მეპარება — ვალერიანის წვეთები ყველაფერს ხდის ფარდას. მხოლოდ ვენჩესლავ უჩინარი ატარებს ყოველთვის თან ვალერიანის წვეთებს და ყოველი ოპერაციის წინ ოცდაათ წვეთსა სვამს. სულ სხვა იქნებოდა — ქლიავის ნაყენის სუნი რომ გეცნოთ.

სოხანე —მიწის იატაკი. ხევსურულად **ქაზდარი,** მოხევურად **შუაყანა.** სწორედ ამ სიტყვიდან (შუაყანა) უნდა იყოს წარმომდგარი სიტყვა **სოხანე**.

ჟიპიტაური — რბილი არაყი, ერთნახადი **არაყი**, **რახი** (სახელი წარმომდგარია სოფელ **ჟებოტა**-საგან, ეს სოფელი მდებარეობს თიანეთის ახლოს).

ჩადი —ჩადუნა, გვიმრა. კახეთში (ქიზიყში) წინათ საწნახლებში ჩააფენდნენ ჩადს (გვიმრას), შემდეგ ჩაყრიდნენ ყურძენს და სწურავდნენ. დღესაც გაიგონებთ გამოთქმას: —ამ ღვინოს ჩადის გემო აქვსო. ამ გამოთქმას ბევრი ხუმრობად სთვლის და ჰგონია, თითქოს ეს იმას ნიშნავდეს, რომ „ეს ღვინო ყელში კარგად ჩადის, კარგად ისმენაო“; სინამდვილეში, აქ ზმნა **„ჩადის“** კი არ იგულისხმება, არამედ მცენარის სახელი „ჩადი“ (ჩადუნა, გვიმრა) და მისი გემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქლიავის ნაყენის სუნი მაშინვე მიგვითითებდა ალბერტ ფლიამაზე. ბენზინის სუნი კი — უეჭველად მიგვანიშნებდა ვერაგ შანტაჟისტ თეოფილე ბოცმანზე, იგივე თეოფილ-მახრჩობელაზე, ანუ შავსიკვდილაზე. იგი ყოველთვის შავი ხელთათმანებით „მუშაობს“ და ხელთათმანებს ყოველთვის ბენზინით რეცხავს, რადგან ჰგონია, რომ ძალიან ჩქარა ჭუჭყიანდება. მაგრამ, ვინაიდან და რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენ შევიცანით ვალერიანის წვეთები, შეცდომაზე ლაპარაკიც ზედმეტია. დიაგნოზი მხოლოდ ერთია — **ვენჩესლავ უჩინარი.**

— როგორ კარგად იცნობთ ყველა მათგანს! — ჩაიჩურჩულა სასოწარკვეთილმა პანი პეგუსოვამ.

იპპოლიტ კვასსი მორცხვად იღიმებოდა:

— ოცდაათი წლის პრაქტიკა მაქვს, პატივცემული.

— ოცდაათი წელია, რაც მაძებარი ხართ?

—მხოლოდ მაძებარი კი არა, — ჩაფიქრდა იპპოლიტ კვასსი.

— პან იპპოლიტი დიდხანს გადიოდა პრაქტიკას ბოროტმოქმედებთან, რომ აღჭურვილიყო საჭირო გამოცდილებით.

— ...როგორ გავიგოთ ეს? — შეშინდა პანი პეგუსოვა.

— ოდესღაც მეც ვიყავი ბოროტმოქმედი, პატივცემული პანი. მაგრამ მძიმე მორალური შერყევის შემდეგ ამ დამღუპველი გზიდან გადავუხვიე.

— **თქვენ ბოროტმოქმედი იყავით! ო, ღმერთო ჩემო!** — ამოიოხრა პანი პეგუსოვამ.

— ვაი რომ ვიყავი! მე ვიყავი ცნობილი ქურდი, მაგრამ ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ გადავუხვიე ბოროტმოქმედების ბილიკიდან და იქიდან დაწყებული, ვიბრძვი თაღლითობის, ქურდობის და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. ამით მინდა გამოვისყიდო ჩემი დანაშაული.

— ო... ო... ო...— ვერ პოულობდა სიტყვებს პანი პეგუსოვა.

—საოცარია, — თქვა აღელვებით ალეკმა. — ყველაფერი დაწვრილებით გვიამბეთ!

— გიამბობთ, ოღონდ სხვა დროს, ყმაწვილო, ახლა ამისი დრო არა გვაქვს. უნდა გადავარჩინოთ საწყალი მარეკი. საქმე გაცილებით უფრო რთულად გამოიყურება, ვიდრე მე მეგონა. უნდა მოვიფიქროთ — საიდან დავიწყოთ!

— ალბათ, დაუყოვნებლივ უნდა დააპატიმრონ ვენჩესლავ უჩინარი, — თქვა ალეკმა.

— საკვირველია: თუ თქვენ ასე კარგად იცნობთ ამ ბოროტმოქმედს, რატომ აძლევთ ნებას თავისუფლად ინავარდოს, — შენიშნა პან პეგუსმა.

— რას იზამ, — გაშალა ხელები იპპოლიტ კვასსმა, — ვენჩესლავ უჩინარი რომ დააპატიმრო, ამისათვის საჭიროა მამხილებელი ფაქტები. არც ერთ სასამართლოს არ შეუძლია მისი დასჯა, თუ ასეთი ფაქტები არ ექნება. ვენჩესლავ უჩინარი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეკუთვნის ყველაზე მოხერხებულ ბოროტმოქმედთა რიცხვს და ისე ჩადის ქურდობას, რომ არავითარ კვალს არა სტოვებს.

— ვალერიანის წვეთები მაშ რა არის? — იკითხა ალეკმა.

— ვალერიანის წვეთების სუნი არ შეიძლება ჩაითვალოს დამამტკიცებელ საბუთად, ყმაწვილო; ვერც ერთი სასამართლო ვერ გამოიტანს განაჩენს ასეთი ადვილად აქროლადი სამხელის საფუძველზე. საუბედუროდ, დღემდე არა მქონია შემთხვევა, შემეკრიბა ამაზე უფრო ხივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მე მთლიანად ჩამოვცილდი ჩემს ძირითად პროფესიას. ახლა მე, ასე ვთქვათ, მაძებარი-პენსიონერი ვარ და თავისუფალ დროს მთლიანად ვეძლევი ქორეოგრაფიულ ხელოვნებას...

— პან იპპოლიტ კვასსი ხელმძღვანელობს სამეჯლისო ცეკვების სკოლას კარლოვის ქუჩაზე, — განმარტა პან ცედურმა. — სწორედ იქ გავიცანით ერთმანეთი.

— სწორი გახლავთ. ჩემმა მეგობარმა პან ცედურმა მთხოვა, თქვენი საქმით დავინტერესებულიყავი, მას კი, თავის მხრივ, მარეკის მეგობარმა — პან ფანფარამ სთხოვა.

თქვა თუ არა ეს — იპპოლიტ კვასსი ადგილიდან წამოდგა.

—ახლა კი, სჯობს ლაპარაკს თავი დავანებოთ და საქმეს მივხედოთ. გადავდივართ შეტევაზე, მხოლოდ ერთი საეჭვო გარემოება ართულებს ყველაფერს. თუ ამ ოთახში ვენჩესლავ უჩინარი იყო, უთუოდ ფანჯრიდან გადმოძვრებოდა, რადგან იგი ყოველთვის სარგებლობს ფანჯრით. მაშინ ისმება კითხვა: ვინ გააღო კარი? კარებზე ხომ გამღების აშკარა კვალია! როგორც უკვე მოგახსენეთ, არც ერთი ჩემი ნაცნობი ბოროტმოქმედი ამგვარ კვალს არ დატოვებდა.

— მეორე კითხვა: — შენიშნა პან ფანფარამ, — რატომ შემოვიდა ოთახში ვენჩესლავ უჩინარი?

— ეს ხომ ნათელია, — მარეკი რომ მოეტაცნა! — წაიჩურჩულა პან პეგუსმა.

იპპოლიტ კვასსმა მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველივე ეს უცნაურია... თქვენ ამბობთ, — მარეკის მოსატაცებლად შემოვიდაო. მაგრამ, ხომ გაცილებით იოლია ბიჭუნას მოტაცება ქუჩაში! ვენჩესლავ უჩინარი მეტისმეტად ჭკვიანია და ასეთი ვიზიტებით თავს არ დაიტვირთავდა. მარეკი ძუძუთა ბავშვი ხომ არაა, რომ ხელში აეყვანათ და ისე გაეყვანათ აქედან.

— იქნებ, ბოროტმოქმედს ქუჩაში თანამზრახველები ელოდებოდნენ? — თქვა პან პეგუსმა.

— არა, პან ფანფარა ხომ ღამე დაბრუნდა რესტორნიდან, და არავინ არ შეუნიშნავს. არ შეუნიშნავს მას არც ავტომანქანა, რომლითაც ასეთ შემთხვევაში მიაქვთ ხოლმე ნადავლი.

— თქვენი აზრით, მაინც რაშია საქმე?

— ეს საქმე აწეწილ ძაფის გორგალსა ჰგავს. არ შეიძლება ერთბაშად გამოვწიოთ ძაფის ყველა ბოლო, ამით უფრო დავხლართავთ ამ გორგალს. უნდა დავიწყოთ ერთი პატარა ძაფის ბოლოთი, დავიწყოთ, თუნდაც, ვენჩესლავ უჩინარით. მოვძებნოთ იგი და მეთვალყურე მივუჩინოთ. ვფიქრობ, რომ ამ საშუალებით, ბოლოს და ბოლოს, მივაგნებთ იმ საიდუმლო ადგილს, სადაც მარეკი ჰყავთ დამალული.

— მაგრამ, როგორ უნდა ვიპოვოთ ვენჩესლავ უჩინარი? — იკითხა პან ფანფარამ.

— მისი პოვნა ძნელი როდია... თქვენც ძალიან კარგად იცნობთ მას, პან ანატოლ.

— **მ ე?!**

— ვენჩესლავ უჩინარი, რამდენიმე წელია, ყოველ ღამე რესტორან „არიზონაში“ დადის.

— ჩვენთან, რესტორანში?! — წამოიძახა პან ფანფარამ. — შეუძლებელია! რამდენადაც მახსოვს, მარეკმა ამიწერა ვენჩესლავ უჩინარის გარეგნობა: მაღალი, გამხდარი, ცხენისსიფათიანი კაცი. მე კი, ასეთი არავინ არ შემინიშნავს რესტორანში.

— მაშ, პან რემიგუს კურელო ვინღაა? — გაიღიმა, იპოლიტ კვასსმა და მელოტ თავზე ხელი გადაისვა.

— პან რემიგუს კურელო? სასაცილოა! პან რემიგუს კურელო წესიერი კაცია. ყოველდღე ვეთამაშები მას ჭადრაკს.

— თქვენ ეთამაშებით ვენჩესლავ უჩინარს, — ცივად თქვა მაძებარმა.

— მაგრამ.. პან რემიგუს კურელოს დიდი, შავი წვერი აქვს!

—მართალია. წვერი — ყალბი აქვს. ვენჩესლავ უჩინარი ცხენისმსგავს სახეს ამ წვერით მალავს. წვერიან კაცზე ხომ ვერავინ იტყვის — სახე ცხენს მიუგავსო. ვენჩესლავ უჩინარი წვერს მხოლოდ მაშინ იხსნის, როცა თავის საქმეზე მიდის.

—საშინელებაა, — თქვა პან ფანფარამ. — საშინელებაა. მაშ რემიგუს კურელო ქურდია?! ამას ვერ დავიჯერებ!

— ახლა თქვენთვის ნათელია, თუ რატომ გაიქცა მაშინვე ვენჩესლავ უჩინარი; მან დაინახა, რომ პან ფანფარა აღებდა კარს და შეეშინდა — არ მიცნოსო. ვალერიანის წვეთების მიღება ვერ მოახერხა, ნერვებმა უმტყუნეს და იგი გაიქცა.

— ყოველივე ეს საოცრად საინტერესოა, მაესტრო! — აღელვებით წარმოთქვა პან ცედურმა. — დღესვე წამოგყვებით „არიზონაში“.

— მეც წამიყვანეთ რა, პან იპოლიტ! — შეეხვეწა ალეკი. — იქნებ რამეში გამოგადგეთ.

იპოლიტ კვასსმა თვალი შეავლო ყმაწვილის მაგარ კუნთებს.

— კეთილი, — თქვა მან, — წამოდით. ასე და ამგვარად, — რვა საათზე — „არიზონაში“.

— რას ამბობ, ალეკ? — შეშინდა პან პეგუსი, — უკეთესი იქნება, არ ჩაერიო, — ბოროტმოქმედებთან საქმის დაჭერა საშიშია.

— მაგრამ, ბიძაჩემო!..

— პან იპოლიტ, მე კატეგორიულად უარს ვამბობ!

— ნუ გეშინიათ, პან ტიმოთეუშ, — გაიღიმა პან იპოლიტ კვასსმა, — ეს მხოლოდ მცირედი დაზვერვა იქნება. ესეც არ იყოს, ვენჩესლავ უჩინარს სასტიკად სძულს ისეთი ვულგარული ინსტრუმენტი, როგორიც არის ცეცხლისმფრქვეველი იარაღი. ვენჩესლავ უჩინარი უფრო ამჯობინებს ორთაბრძოლას, ასე ვთქვათ, ინტელექტუალურ ორთაბრძოლას.

— კარგი, კარგი, — მოლბა პან პეგუსი. — მაგრამ გახსოვდეს, ალეკ, ათ საათზე შინ უნდა იყო.

— თერთმეტ საათზე რა, ბიძაჩემო!

— კარგი, თერთმეტს აღარ გადააცილო, — დაეთანხმა პან პეგუსი. — ყურადღება მიაქციეთ მას, პან იპოლიტ!

იპოლიტ კვასსმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, გამოეთხოვა და წავიდა. მოსახვევთან ქლოშინით დაეწია ალეკი.

— **პ ა ნ ი პ ო ლ ლ ი ტ!**

— რა ამბავია, რა მოხდა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დარეჯან აბაშიძე

გაზაფხულმა ასე იცის

გაზაფხულის თბილმა დილამ
არე-მარე გააცინა,
მოციმციმე მზის სხივებმა
ვარდზე ნამი ააბრწყინა.

ჩრდილი ღრმად წევს ღელეებში,
ფერდობებზე ცოცავს ნისლი,
ბუნება ლხინს მისცემია—
გაზაფხულმა ასე იცის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლიმპიადა-ტოკიოში

ოქტომბერში, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ჩატარდება გრანდიოზული სპორტული ზეიმი — XVIII ოლიმპიური თამაშები.

ძველთაძველი ტრადიციის მიხედვით, ოლიმპიადა საზეიმო ცერემონიალით გაიხსნება, მასში 78 ქვეყნის 12.000-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. ახალაშენებული სტადიონის ხალხით სავსე ტრიბუნებს ჩაუვლიან რჩეულთა შორის რჩეულნი, მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები, ჩემპიონები, რეკორდსმენები.

სტადიონზე პირველად საბერძნეთის სპორტსმენები შემოვლენ. საბერძნეთი ოლიმპიური თამაშების სამშობლოა; პირველი ოლიმპიური თამაშები ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ ჩაატარეს დღევანდელი ბერძნების შორეულმა წინაპრებმა; ამიტომ, ტრადიციის მიხედვით, ოლიმპიადის სახეიმო ცერემონიალს ყოველთვის საბერძნეთის სპორტსმენები ხსნიან, ხოლო აღლუმს მასპინძლები — იაპონიელები დახურავენ.

* * *

ელინელები დიდად აფასებდნენ ფიზიკურ სილამაზეს, პატივს სცემდნენ ძლიერსა და ჯანმრთელ ადამიანს. ამიტომ ბავშვებს დედის კალთიდანვე აკაჟებდნენ, შემდეგ აჩვევდნენ ათასგვარ ვარჯიშს, აჯიბრებდნენ ერთმანეთს სირბილში, ჭიდაობაში, მშვილდოსნობაში, კრივში.

ბერძნების უშრეტმა ფანტაზიამ აურაცხელი ლეგენდა და მითი შეჰქმნა ოლიმპიური თამაშების წარმოშობის თაობაზე. ერთი გადმოცემის მიხედვით, თამაშები ჰერკულესს შემოუღია. ერთ-ერთი გამარჯვების აღსანიშნავად, თავისი ოთხი ძმა სირბილში შეუჯიბრებია ერთმანეთისათვის და გამარჯვებული დაფნის გვირგვინით შეუმკია. ლეგენდა იმასაც მოგვითხრობს, რომ 600 ტერფის სიგრძის (192,27 მეტრი) საასპარეზო ადგილი თვითონ ჰერკულესმა შეარჩიაო.

ერთ-ერთი ლეგენდა ოლიმპიადის წარმოშობას ქალს უკავშირებს: ახალგაზრდა გმირს შეუყვარდა მეფის ქალიშვილი. მეფე ყოველმხრივ ცდილობდა, არ გაეთხოვებინა ასული, რადგან ერთმა მისანმა სიძის ხელით სიკვდილი უწინასწარმეტყველა. ქალიშვილის ხელის მთხოვნელებს იგი ორთაბრძოლაში იწვევდა და, ყოველთვის ამარცხებდა მათ. რაინდმა ეშმაკობას მიმართა, — მოისყიდა მეფის მეეტლე, საბრძოლო ეტლის ბორბლებს მანები გამოაცალა და სანთლის მანებით შეცვალა.

შერკინების დროს სანთელი დადნა და მეფე გაშმაგებული ცხენების მსხვერპლი გახდა. ქალ-ვაჟი შეუღლდა. როგორც მითი გადმოგვცემს, ამ ღირსშესანიშნავი დღის აღსანიშნავად ცოლ-ქმარმა ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციას მოჰკიდეს ხელი და ჩაატარეს კიდევაც პირველი თამაშები.

დროთა განმავლობაში ოლიმპიური თამაშები თანდათან დავიწყებას მიეცა.

ელადის მეფის—იფიტის მმართველობის დროს (დაახლოებით IX საუკუნე ჩვენს ერამდე) პელოპონესში შავი ჭირი გაჩნდა და ხალხს მუსრს ავლებდა. მორწმუნე ბერძნებმა ამ უბედურების მიზეზად ოლიმპიური თამაშების დავიწყება მიიჩნიეს. იფიტმა შეთანხმება დადო სპარტის მმართველ ლიკურგთან, რათა აღედგინათ თამაშები; ოლიმპია წმიდათაწმიდა ადგილად გამოაცხადეს და მოუწოდეს საბერძნეთის ყველა სახელმწიფოს, — თამაშების დროს ომები შეეწყვიტათ.

ფიცის ტექსტი იმ ბადროზე ამოკვეთეს, რომელიც პირველ ოლიმპიადაზე ყველაზე შორს იქნა ნატყორცნი. ეს ბადრო, როგორც დოკუმენტი, ათას წელზე მეტ ხანს ინახებოდა ზევსის ტაძარში. დაზავება სამ თვეს გრძელდებოდა (ოლიმპიადის მონაწილეებს ვარჯიშის საშუალება რომ ჰქონდათ). აღსანიშნავია, რომ, როგორც მონაწილეებს, ისე მაყურებ-

ლებს ამ დროს უხიფათოდ შეეძლოთ მოშუღლე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მიმოსვლა. შეჯიბრებები პირველად ერთ დღეში ტარდებოდა. შემდეგ, სახეობათა და მონაწილეთა გაზრდასთან ერთად, დღეთა რაოდენობაც გაიზარდა და ბოლოს ხუთ დღეს მიაღწია. პირველი თამაშები 776 წელს (ჩვენს ერამდე) ჩატარებულა. ამ ოლიმპიადამ შემოგვინახა პირველი ჩემპიონის, ბერძენი მზარეულის — კორბეს სახელი.

შეჯიბრი მონაწილეთა საზეიმო ფიცით იწყებოდა. „პირველობისათვის ბრძოლა კეთილსინდისიერად უნდა წარიმართოს“ — ფიცს დებდნენ მონაწილენი. კანონი სასტიკად სჯიდა მას, ვინც აღთქმას დაარღვევდა და არაკეთილსინდისიერი გზით შეეცდებოდა პირველობის მოპოვებას.

ოლიმპიადის მონაწილეები ერთხანს მხოლოდ და მხოლოდ მოკლე მანძილზე — სტადიაზე სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. (სხვათაშორის, ამ სიტყვისაგან წარმოდგა დღევანდელი სიტყვა „სტადიონი“). დროთა განმავლობაში თამაშების პროგრამა თანდათან ფართოვდებოდა; შემოღებულ იქნა ჭიდაობა, კრივი, შუბის ტყორცნა, ჯირითი და აბჯარასხმულ მეომართა სირბილი...

ყურადსაღებია ის ამბავი, რომ ოლიმპიადა მარტო სპორტული ასპარეზობა როდი იყო. იქ, პოეტებისა და ხელოვანთა კონკურსებიც იმართებოდა.

მონაწილეთა შორის იყვნენ ანტიკური სამყაროს გამოჩენილი ადამიანები — დემოსთენე, დიოგენი, ხოლო ჰეროდოტეს პრიზიც მოუპოვებია. საქვეყნოდ განთქმული მათემატიკოსი პითაგორე ოლიმპიადის ჩემპიონი ყოფილა კრივში.

ოლიმპიური თამაშები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. ყვავილებით მორთული, საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი სიმღერითა და ცეკვით მიემართებოდა ოლიმპოს მთისაკენ. ზოგიერთი ჯერ კიდევ წინა საღამოს იკავებდა მოხერხებულ ადგილს და მთელი ღამე მოთმინებით ელოდა გათენებას. ლუკიანე, რომელიც ხუთჯერ დასწრებია ოლიმპიადას, ჰყვება: ვერც მცხუნვარე მზე, ვერც წვიმა, ვერც მტვერი, ვერც სივიწროვე ვერ სტეხდა მაყურებელთა მოთმინებასო. დღევანდელ გულშემატკივართა მსგავსად, ისინიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეჯიბრზე მოხვედრილიყვნენ. ათასობით ადამიანი იდგა ფეხზე მცხუნვარე მზის ქვეშ და შეძახილებით ამხნევებდა თავის ფალავანს, ყვირილითა და სტვენით გამოხატავდა აღფრთოვანებას. ოლიმპიური თამაშების დიდი გულშემატკივარი ყოფილა სოკრატე. მას იმდენად ჰყვარებია სპორტული ასპარეზობა, რომ ათენიდან ოლიმპომდე ორასი კილომეტრი გზა ფეხით გაუვლია.

ძირითადი შეჯიბრების დაწყებამდე, პირველ დღეს, იმართებოდა ბავშვების ასპარეზობა: მოკლე მანძილზე სირბილში, კრივში, ჭიდაობაში, ჯირითში.

ოლიმპიური თამაშების კარები ქალებისთვის საუკუნეთა მანძილზე მჭიდროდ იყო დახშული. ქალებს არა თუ მონაწილეობა, არამედ შეჯიბრის ყურებაც კი აკრძალული ჰქონდათ. ამ ტრადიციის დამრღვევს სასტიკად უსწორდებოდნენ. ძველი ბერძენი ავტორები ჰყვებიან რომ ასეთი მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, ერთ ქალს მაინც მოუხერხებია თამაშებზე დასწრება. იგი სტადიონზე მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი შეპარულა. გადაცმული ქალი მაშინ შეუმჩნევიათ, როდესაც იგი კრივში გამარჯვებულ ვაჟიშვილს გულში იკრავდა. მისთვის დანაშაული უპატიებიათ, რადგან იგი სახელგანთქმულ ოლიმპიელთა ოჯახის წარმომადგენელი ყოფილა (შვილი, მეუღლე და მამა სხვადასხვა დროს ოლიმპიადების ჩემპიონები ყოფილან).

არაფერი არ იყო საბერძნეთში ისე საპატიო, როგორც ოლიმპიადაზე გამარჯვება.

ჩემპიონებს ოლიმპიადის დასრულების წინ აჯილდოვებდნენ ზეთის ხილის ტოტებისაგან დაწნულ გვირგვინს ჩამოჰკიდებდნენ კისერზე;

ბუკით აცხადებდნენ ჩემპიონთა ვინაობას, მოქანდაკეები გამარჯვებულთა ბიუსტებს აქანდაკებდნენ და ზევსის ტაძარში დგამდნენ. კიდევ უფრო მეტი პატივით ეპყრობოდნენ ჩემპიონებს თავთავიანთ სამშობლოში: გადასახადებისაგან ათავისუფლებდნენ, საჯარო შეკრებებზე პირველ რიგში უთმობდნენ ადგილს, პოეტები ქება-დიდებას ასხამდნენ მათ მხარ-მკლავებს.

ანტიკური ოლიმპიური თამაშები თორმეტი საუკუნის განმავლობაში ტარდებოდა და ამ ხნის მანძილზე ეს შესანიშნავი დღესასწაული სამასჯერ გაიმართა. შემდგომ, ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში, როდესაც საბერძნეთი ფაქტიურად რომის მონა-მორჩილი გახდა, ოლიმპიურმა თამაშებმა თანდათან დაჰკარგეს პოპულარობა, ვიდრე 393 წელს რომის იმპერატორმა მთლად არ აკრძალა იგი.

გაიარა თხუთმეტმა საუკუნემ.



გ. კარტოზია

XIX საუკუნის დამლევს, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, საბერძნეთის ძველ კულტურასთან ერთად, ოლიმპიური თამაშების ისტორიაც გადაშალა კაცობრიობის წინაშე. წარმოიშვა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა. და აი, სპორტის ენთუზიასტ ფრანგ პიერ დე კუბერ-

ტენის ინიციატივით, ოლიმპიური თამაშები განახლებულ იქნა. 1896 წელს ათენში ჩატარდა თანამედროვე ციკლის პირველი ოლიმპიური თამაშები. შემდგომ წლებში, ოლიმპიური თამაშები რიგრიგობით იმართებოდა პარიზში, ლონდონში, ბერლინში, სან-ფრანცისკოში, ჰელსინკში, მელბურნში, რომში...

საბჭოთა სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1952 წელს მიიღეს მონაწილეობა და ბრწყინვალე წარმატებასაც მიაღწიეს. ჰელსინკში საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა ნამდვილად ტრიუმ-

ა. მეკოკიშვილი

ფალური იყო: ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების რაოდენობით ჩვენ შორს ჩამოვიტოვეთ მანამდე უძლეველი ამერიკის გუნდი. დიდი წვლილი შეიტანეს ამ გამარჯვებებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმაც. XV — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ: მოჭიდავეები — დ. ციმაკურიძე და ა. მეკოკიშვილი; ტანმოვარჯიშე — მ. ჯუღელი; ძალოსანი — რ. ჩიმიშკიანი; ვერცხლის მედლები დაიმსახურეს კალათბურთელებმა — ო. ქორქიამ და ნ. ჯორჯიკიამ, მძლეოსანმა ლ. სანაძემ და მოჭიდავე შ. ჩიხლაძემ. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მძლეოსნებმა — ნ. დვალიშვილმა და ნ. დუმბაძემ.

ზემოჩამოთვლილ „ბვირგვინოსანთა“ გარდა, ჰელსინკის თამაშებში მონაწილეობდნენ: ე. გოკიელი, ო. დადუნაშვილი, ა. მეიფარიანი, მ. ბეგთაშევი, პ. მშვენიერაძე, ა. ღოღობერიძე და ა. ჭკუასელი. სარეზერვო შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: გ. კარტოზია ვ. ბალავაძე, ვ. ილურიძე. ნ. მუზაშვილი, ვ. გიგიაძე, გ. როსტიაშვილი, გ. ანთაძე, ვ. მარღანია, ს. ჯაიანი, რ. ტრაპაიძე.

მ. ცალჭალამანიძე

კიდევ უფრო ნაყოფიერი იყო საბჭოთა სპორტსმენებისათვის მელბურნის ოლიმპიური თამაშები. აქ უკვე აშკარა გახდა ჩვენი სპორტის ხალხურობისა და მასიურობის შედეგი, — საბჭოთა სპორტსმენებმა შორს გაუსწრეს ამერიკელებს. აქაც, როგორც ჰელსინკში, ბევრმა ქართველმა სპორტსმენმა ისახელა თავი. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ: მოჭიდავეები — გივი კარტოზია და მირიან ცალჭალამანიძე; ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ წყალბურთელები — ნოდარ გვახარია და პეტრე მშვენიერაძე; მოჭიდავეები — ვახტანგ ბალავაძე. რომან ძნელაძე, გიორგი სხირტლაძე, მძლეოსანი ნადეჟდა დვალიშვილი. მოცურავე ბ. ნიკიტინი.

შემდგომში, რიგით XVII ოლიმპიური თამაშები იტალიის დედაქალაქში მოეწყო. საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ დიდ წარმატებას მიაღწიეს, დიდზე ჩამოიტოვეს ყველა მონაწილე და, როგორც ქულების, ისე მედლების რაოდენობით, პირველი ადგილი დაიკავეს.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს არც რომში შეურცხვენიათ თავი. ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია სიმაღლეზე მხტომელმა რობერტ შავლაყაძემ; მან მძაფრ ბრძოლაში აიღო 216 სანტიმეტრი სიმაღლე და დაამარცხა ვ. ბრუმელი და ამერიკელი ჯ. თომასი. ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა მოჭიდავე გ. ქორიძე. ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი კალათბურთელებმა —გ. მინაშვილმა და ვ. უგრეხელიძემ, წყალბურთელებმა — პ. მშვენიერაძემ, ლ. გოგოლაძემ და გ. ჩიქვანაიამ, მოჭიდავემ — ვ. რუბაშვილმა; ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მოჭიდავე გ. კარტოზიამ.

* * *

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე საბერძნეთში ოლიმპოს მთაზე აანთებენ ჩირაღდანს. მშვიდობის შუქურასავით გადაუვლის იგი მთებს, გადასერავს ზღვებს, ოკეანეებს და ტოკიოს სტადიონზე მივა. შეჯიბრების დამთავრებამდე, ანთებულ ჩირაღდანთან, საპატიო საგუშაგოზე დადგებიან სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები. ბოლოს, ოლიმპიადის დამთავრებისას, მას საერთო ზეიმში ჩააქრობენ ოლიმპიადის ჩემპიონები.

მილიონობით სპორტის მოყვარული მოუთმენლად ელის ტოკიოს ოლიმპიადას.

ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები ამჯერადაც ასახელებენ ჩვენს დედასამშობლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვათ, ლაშქრობის ან ექსკურსიის დროს, შენ ან შენს ამხანაგს რაიმე შეგემთხვათ, — ან ფეხი იღრძვეთ, ან ხელი გაიჭერით, ან წყალმა გაგიტაცათ, ან ცხვირიდან სისხლი წაგსკდათ. ნუ დაიბნევით! თქვენ ხომ იცით პირველი დახმარების მარტივი წესები; შეგახსენებთ ზოგიერთ მათგანს.

პირველი დახმარება















დახედე ამ ნახატებს. ასეთი სპეციალური რეზინის მოსაჭერის მაგივრად შეგიძლია იხმარო პირსახოცი ან დოლბანდი. ნასკვში გაუყარე ჯოხი და აბრუნე მანამ, ვიდრე სისხლის დენა არ შეწყდება.

თუ ცხვირიდან სისხლი წაგსკდა, დაჯექი გრილ ადგილას, თავი ოდნავ დახარე, სისხლი რომ არ ჩაყლაპო. ნესტოებზე მოიჭირე ხელი, ცხვირის კეხზე დაიდე ცივი ტილო.

ორ ნახატზე ნაჩვენებია ხელოვნური სუნთქვის ძირითადი წესები. ეს წესები გამოგადგებათ, თუ ვინმე მდინარემ გაიტაცა და წყალი ჩაყლაპა. წყალჩაყლაპული პირდაღმა გადაიწვინე მუხლზე და ზურგზე მაგრად დააწექი ხელით, რათა ჩაყლაპული წყალი მთლიანად გადმოვიდეს (დახედე ნახატს).

თუ ცურვა კარგად არ იცი, ნუ გადახტები მდინარეში ამხანაგის მისაშველებლად, თორემ შენც მისაშველებელი გახდები; ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია ამხანაგს გადაუგდო თოკი ან რაიმე ტივტივა საგანი. კარგი იქნება თუ საფრთხეში მყოფ ამხანაგს შეუძახებ, — ცურვაც რომ არ იცოდეს, იგი გამხნევდება და რამდენიმე წუთს გაძლებს წყლის ზედაპირზე. ამასობაში იქნებ მშველელიც გამოჩნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გალაქული“ ბოსტნეული

ლონდონის მაღაზიებში იყიდება ბოსტნეული, რომელსაც განსაკუთრებული ლაქი აქვს ძალზე თხლად წასმული. ამ ლაქს არა აქვს რაიმე გემო და სუნი, არც ადამიანს ვნებს. „გალაქული“ ბოსტნეული მთელი ზამთრის განმავლობაში ნედლად ინახება და არ ჭკნება.

რამდენს ლაპარაკობს ადამიანი

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ ერთ საათს კარგავს ლაპარაკისათვის. სამოც წელს მიღწეული ადამიანისათვის ეს შეადგენს ორნახევარი წლის განუწყვეტელ ლაპარაკს.

შესაძლებელი რომ იყოს ყოველივე იმის გამოკვეყნება, რასაც ადამიანი 60 წლის განმავლობაში ლაპარაკობს, მივიღებდით 1000 ტომისაგან შედგენილ ბიბლიოთეკას, თვითეული ტომი 500-გვერდიანი იქნებოდა.

ცელქი ბავშვების დღესასწაული

„ცელქების დღესასწაული“ დიდი ხნიდან არსებობს მექსიკაში. ამ დღეს, კარგად ჩაცმული ბავშვები გამოდიან ქუჩაში და იწყებენ... უფროსების გამოჯავრებას. მაგრამ უფროსები როდი წყრებიან; პირიქით: ყველაზე თავგამოდებულ და გონებამახვილ ცელქებს კიდეც ასაჩუქრებენ.

ყანა-ოკეანის ფსკერზე

კუნძულ ტასმანიის აღმოსავლეთ ნაპირთან, ოკეანის ფსკერზე, არის ერთი არაჩვეულებრივი ყანა. აქ მოჰყავთ ისეთი წყალმცენარეები, რომლებიც ბევრ ცილასა და სხვადასხვა ძვირფას ნივთიერებას შეიცავენ.



ნეილონის ფული

ქაღალდის ფული პირველად 1690 წელს გამოჩნდა. მაგრამ „იზეიმებს“ თუ არა იგი თავისი არსებობის 300 წლისთავს, — ეს უკვე საეჭვოა.

ამერიკელი გამომგონებლის — სტენლი რიდის აზრით, ქაღალდის ფული უნდა შეიცვალოს ნეილონის ფულით. ნეილონის ფული ქაღალდისაზე გაცილებით გამძლე იქნება. მისი დახურდავება შეეძლებათ ავტომატურ სალაროებს. ისინი არამარტო დახურდავებენ ფულს, არამედ კიდეც მიიღებენ და გასცემენ ანაბრებს. ამის შემდეგ უკვე არ იქნებიან საჭირონი ბანკის, შემნახველი, საანგარიშო და დამხურდავებელი სალაროების მოლარენი. ხოლო ამერიკელ განგსტერებს, რომლებიც მსხვილყალიბიანი დამბაჩის საშუალებით მოლარეებს ფულს სძალავენ, იძულებული შეიქნებიან, სხვა ხერხი გამოძებნონ ავტომატური სალაროების „შესაშინებლად“.

წისქვილი კუჭში

ქათმებს, ბატებსა და ინდაურებს კბილები არა აქვთ; ისინი მაგარ საჭმელს ინელებენ კენჭების საშუალებით, რომლებიც კუჭში დოლაბების როლს ასრულებენ. ბატი დღე-ღამეში საშუალოდ 20 გრამ ქვას ყლაპავს.

მოცეკვავე მაღვიძარა

ერთმა ფრანგულმა ფირმამ გამოუშვა მოცეკვავე მაღვიძარები. ზარის აწკრიალებისთანავე, მაღვიძარა ხტუნვას იწყებს და თავის პატრონს სუნამოს ასხურებს, ან ბურნუთს აყრის. თუ ვერც ამით გამოაღვიძებს, „ფეხებს“ აბაკუნებს: მძინარეს ეგონება, ოთახში უცხო ვინმე დადისო და მაშინვე ზეზე წამოხტება.

9387.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლეანდრე

ლამაზი დეკორატიული მცენარე ოლეანდრე გავრცელებულია შავი ზღვის ნაპირებზე — ყირიმსა და საქართველოში, აზერბაიჯანსა და სამხრეთ შუააზიაში. მისი სამშობლოა ირანი, მცირე აზია და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები.

ჰყვავის ივნის-ივლისის თვეში, ნაყოფი მწიფდება სექტემბრამდე.

ამ მცენარის ფესვი, ღერო, ფოთოლი და ნაყოფი შხამიანია.

არსებობს გადმოცემა, რომ ლამაზმა ოლეანდრემ სიცოცხლეს გამოასალმა ნაპოლეონის ათასი ჯარისკაცი. ეს ასე მომხდარა: 1812 წელს, იტალიაში, მდინარე პოს ნაპირებზე ნაპოლეონის ჯარისკაცებმა ნანადირევი კურდღლის მწვადები ოლეანდრის შამფურებზე შეწვეს. საღამოს ყველა ჯარისკაცი, რომელმაც კი ეს ხორცი იგემა, გარდაიცვალა. ცნობილია შემთხვევები, როცა ოლეანდრესთან ახლოს მდებარე ჭის წყალმა ხალხი მოწამლა. ამის გამო ოლეანდრეს დეკორატიულ მცენარედ აღარ აშენებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მასში „ნერიოლინი“ აღმოაჩინეს, ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა ზონალური სადგურის მუშაკებმა ბევრგან გააშენეს მისი სამრეწველო პლანტაცია. ნერიოლინი გულით დაავადებულთა სამკურნალო პრეპარატია, რომელმაც სრულ ყოფირად შესცვალა პრეპარატი „სტროფანტინი“.

ბურბუშელა

ბოტანიკაში ბურბუშელა ეწოდება, გურიაში ფუბაბუა ჰქვია, იმერეთში ბაბუაწვერას ეძახიან, თუშეთში — მღვდლისწვერას, ლეჩხუმში— ქარაფშუტას, აჭარაში — ყურბანას... ბურბუშელა მრავალწლიანი სარეველა მცენარეა და რთულ ყვავილოვან ოჯახს ეკუთვნის. ჰყვავის აპრილიდან — სექტემბრამდე.

საინტერესოა, რომ ბურბუშელას საკვებად ხმარობენ. მისი ნედლი ფოთლებისაგან აკეთებენ სალათასა და ფხალს. ხოლო ფესვებისაგან კი ყავასა და მადისმომგვრელ წამალს— „ინულინს“ ამზადებენ.

საფრანგეთში ბაბუაწვერას სპეციალურად აშენებენ. მისი ფოთლებისაგან დამზადებული სალათა ერთ-ერთ საყვარელ კერძად ითვლება ფრანგულ სუფრაზე.

ლიმონურა

ლიმონურა სასარგებლო მხვიარა მცენარეა, იგი მაგნოლიათა ოჯახს ეკუთვნის. ლიმონურას ღერო, ფესვი და ნაყოფი გასრესისას ლიმონის სუნს გამოსცემს; ალბათ, ამიტომაც უწოდეს მას ლიმონურა. ცნობილია ლიმონურას დიდი სამკურნალო მნიშვნელობა. მის თესლსა და ნაყოფში მოიპოვება ვაშლის, ლიმონისა და ღვინის სიმჟავეები, ცხიმოვანი ზეთი და შაქარი. ამ მცენარის ეს თვისებები, როგორც ჩანს, ძველთაგანვე იცოდნენ და ამიტომაც დაჰქონდათ საგზლად მონადირეებს ლიმონურას ხმელი ნაყოფი, რომელიც დაღლილ ადამიანს ძალასა და ენერგიას ჰმატებდა.

ჩინელები ლიმონურას ნაყოფისა და ფესვებისაგან აყენებდნენ ნაყენს, რომელსაც სამკურნალოდ ხმარობდნენ... ამჟამად ლიმონურას იყენებენ როგორც სუნთქვის მომწესრიგებელ სამკურნალო საშუალებას, აგრეთვე სისხლის წნევის დასაწევად და დაავადებული გულის სამკურნალოდ.

ლიმონურას ნაყოფს საშაქარლამო წარმოებაშიც იყენებენ განსაკუთრებული ხარისხის შოკოლადების, კამფეტებისა და სიროფების დასამზადებლად.

ანა ნემსაძე

მოკისკისებს გაზაფხული

მოდის,
მოდის
გაზაფხული
კისკისით და
ხარხარით;
გაზაფხულო,
რა გახარებს,
ჭრელი კაბა ახალი?!

მოდის,
მოდის
გაზაფხული,
გაახარა
მთა-ბარი,
გადამწვანდა
არე-მარე,
აშრიალდა ბაღნარი.

მოდის,
მოდის
გაზაფხული,
გახალისდა
მზეც,
ჭრელი კაბა
ჩავიცვით
ლალიმაც და მეც.

დები ლალი და დალი
ქევხიშვილები
96-ე საშ. სკოლა.
I და II კლასი.

რუბრიკით „ოდოჟლერი“ ჩვენი ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებს ქართველი ბავშვების ნაწარმოებებს: მოთხრობებს, ლექსებს, ნახატებს, თარგმანებს, ნარკვევებს, პიონერების მიერ ჩაწერილ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის დიდი ნაწილი ბავშვების ნაწარმოებებს დავუთმეთ.

რედაქცია თქვენს მრავალ ლექსს, მოთხრობას, ნახატს ილებს ყოველდღიურად. ავტორებს გული არ დაგწყდეთ, ყველა შათგანის გამოქვეყნებას რომ ვერ ვახერხებთ. ამის მიზეზი მრავალია: ზოგი ნაწარმოები მხატვრულად სუსტია, ზოგს დაგვიანებით ვლებულობთ, ზოგიც, თავისი ღირსებების მიუხედავად, მაინც ვერ ხვდება ჟურნალის ფურცლებზე, რადგან ჩვენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ვარჩევთ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ოკი ბოლო

(ნამდვილი ამბავი)

ზამთარია. ასეთი სიცივე სოფელ ჩიხას დიდი ხანია აღარ ახსოვს. ყვირილის ხეობა ჭირხლსა და ბურუსს მოუცავს. თითქოს ზეცა ჩამოქცევას აპირებსო,—მესამე დღეა თოვს და თოვს. თოვლის სისქე საცაა მეტრს მიაღწევს.

გულსაკლავად ზუზუნებს ქარი.

უამინდობის გამო სკოლიდანაც კი დაგვითხოვეს. სახლში სითბოა, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. სურსათ-სანოვაგე საკმარისად გვაქვს, გარეთ გასვლა არ გვჭირდება, მაგრამ მამაჩემი რატომღაც მაინც ცუდ გუნებაზეა, მოუსვენრობა ეტყობა. იგი მეღორეობის ფერმის გამგეა, დილიდან საღამომდე რაღაც წიგნად აკინძულ სქელ რვეულს ჩაჰკირკიტებს. თვალი გავაპარე და,—«დედაპირუტყვი» ამოვიკითხე ყდაზე. ახლა, მეორე მხრიდან შემოვუარე ჩუმად და რვეულში ჩავხედე,—«დედაღორების სახელები», «ყურის ნომრები», «დაგრილების თარიღი». ნეტა რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— ნუთუ მამის უხასიათობა ამ წიგნის ბრალია?—აბუზღუნდა ჩემი ძმა,—სულაც ბუხარში შევუძახებ ამ ოხერ წიგნს და ეგ იქნება!

* * *

ვახშმის შემდეგ დასაძინებლად წავედით. გარეთ ქარი ბობოქრობდა, თოვლის კორიანტელს აყენებდა.

გათენებამდე სამი საათი თუ იქნებოდა დარჩენილი, როცა ჯულბარსმა ვიღაცას გამეტებით შეუტია. მისი ყეფა ჭექა-ქუხილივით ისმოდა სახლში. ვიღაცა მამაჩემს უხმობდა. საბნებიდან თავები გამოვყავით. მამამ შინ მოიპატიჟა მოსული. ოთახში მთლად დათოვლილი, ნამდვილი თოვლის ბაბუა შემოვიდა. კარგად რომ დავაკვირდით, ღორების მწყემსი ავქსენტი ბაბუა ვიცანით. იგი, ტანდაბალი, გვარიანად გამოწეული მუცლით, სქელკისრიანი და მწითური სახით, ას კილოგრამზე მეტი იქნებოდა. შემოსვლისთანავე მამას მიმართა:

— გივი, შვილო, გვიშველე! ცუდადაა ჩვენი საქმე, თორმეტი ნეზვი დღეს უნდა დაგოჭიანდეს. ერთმა უკვე დაიწყო... ხომ იცი ჩვენი საღორეების ამბავი, ახლის დამთავრებას საშველი არ დაადგა და... ეს ძველი კი, ისიც ყვირილას პირას, ამ ქარ-ყინვაში ხეირს არ დააყრის ახალშობილ გოჭებს. დაიყინებიან და დაიხოცებიან ის უსუსურები... უნდა გვიშველო რამე, შვილო,—დაამთავრა მოხუცმა.

ახლა კი მივხვდი, თუ რატომ ჩაჰკირკიტებდა მამა «დედაპირუტყვის» წიგნს და რატომ იყო ასე უხასიათოდ. თურმე ნეზვების დაგოჭიანების დრო ამ უამინდობას ემთხვეოდა... ავქსენტი ბაბუას ბევრის თქმა აღარ დასჭირებია,—მამამ საჩქაროდ ჩაიცვა, გასახურებლად ცოტაოდენი არაყი გადაჰკრეს, მერე სწრაფად გავიდნენ და კარი გაიხურეს.

* * *

ისინი კი წავიდნენ, მაგრამ, ეს ოხერი ძილი აღარ გინდა? ჩემი მოუსვენრობა თემურსაც გადაედო. ვინ იცის, რა ხდება ახლა იქ? იქნებ იბადებიან პატარა, ცხვირაპრეხილი თეთრი გოჭები, დასუნსულებენ, ძუძუს ეძებენ, მაგრამ სიცივისაგან გათოშილები ძუძუმდე ვერ აღწევენ და იხოცებიან...

— თემურ!—გადავძახე ჩემს ძმას,—მოდი, იხათებს თუ არა, ჩვენც წავიდეთ ფერმაში,—იქნებ ვუშველოთ რამე ავქსენტი ბაბუასა და მამას.

— გაგიჟდი, გოგო, ამ მეორედ მოსვლაში ნეტა მამაშენიც არ წასულიყო თვარა, თქვენ რავა გაგიშვებთ! — შეიცხადა დედამ.

ხმაურზე ჩვენმა უმცროსმა ძმამ მიტომაც წამოყო თავი,—მეც წამიყვანეთ, მეც, მეც!

— შენც? ჰო მაგრამ, სად წაგიყვანოთ?

— სად და იქ, თქვენ რომ მიდიხართ.

— შენ რა, ძილში ეშმაკმა ხომ არ ჩაგიკაკუნა? იქ, იქ,—რომ გაიძახი, სად იქ?—გულიანად იცინოდა თემური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტომ ძილს თავი ვეღარ გაართვა და ისევ მილულა თვალები.

მე და თემურმა როგორც იქნა დედა დავიყოლიეთ, თბილად ჩავიცვით და, ინათა თუ არა, ფერმისაკენ მიმავალ გზას გავყევით.

ქარმა თითქოს იმატაო, უფრო აბობოქრდა, თოვლის კორიანტელს აყენებდა, მამაჩემის ნაკვალევს ძლივს ვამჩნევდით. დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ ყვირილის პირას რიყეში აშენებულ საღორეებამდე.

მამა იქვე დაგვხვდა. მე და თემური რომ შეგვნიშნა,—გაჯავრებით გადმოგვხედა, მაგრამ რაკი თბილად ჩაცმულები გვნახა, დაშოშმინდა.

საღორედან გოჭების ჭყვიტინი შემოგვესმა.

— ჯერ-ჯერობით რვაა!— თქვა ავქსენტი ბაბუამ.

მე და თემური საღორეში მივძვრებით. გვაინტერესებს გოჭების ნახვა. ჩვენს თვალწინ იბადება მეცხრე გოჭი. იგი მთლად სველია და სიცივისაგან ძაგძაგებს.

— ვაიმე!—წამოვიყვირე მე, —გოჭი წაიქცა, ფეხები გაასავსავა. არიქა, ავქსენტი ბაბუა, უშველეთ რამე, მგონი კვდება...

ბაბუა ავქსენტიმ ხელები გაშალა:

— ამას, შვილო, აღარაფერი უშველის, გაიყინა და...

ავქსენტი ბაბუა მამას მიუბრუნდა;

— ეს ამინდი ჩამოიქცა. ნამჯა ან ნახორი თუ არ მივაშველეთ, ნამატი მთლად დაგვეღუპება...

მამას სახე გაებადრა. სასწრაფოდ ნაბადში გაეხვია,—ახლავე მოვალო,—თქვა და სადღაც გაიქცა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ფერმისაკენ მომავალ გზაზე ნამჯით დატვირთული ურმები გამოჩნდნენ. ქარბუქში მამას ვერ ვხედავდით, მაგრამ დრო და დრო მისი ხმა გვესმოდა და ვგრძნობდით, რომ ხასიათზე მოსულიყო.

— საღორეების კედლებს თოვლი მიაყარეთ გარედან!— გასცა ბრძანება მამამ და ათიოდე მწყემსი უყოყმანოდ შეუდგა მუშაობას. ქარი კი უმოწყალოდ გლეჯდა იქაურობას. ავქსენტი ბაბუამ და მამამ იქვე მდგომი სხვა მწყემსი წამოიშველიეს და ნამჯა საღორეში შეიტანეს, ღრიჭოები გულდაგულ დაგმანეს და შეციებულ დედაღორებსა და უსუსურ გოჭებს საგებები გაუშალეს... შეძლებისდაგვარად ჩვენც ვეშველებოდით უფროსებს, ვცდილობდით, დაუგმანავი არ დაგვრჩენოდა არც ერთი ჭუჭრუტანა. ამასობაში დრო ისე გაიპარა, ვერც კი გავიგეთ. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა ყველაფერს მოვრჩით. ავქსენტი ბაბუა წელში გასწორდა, ხელები დაიბერტყა და თქვა:

— ესეც ასე, თორმეტი დედაღორიდან ას ორი გოჭი შეგვემატა.

— ის ერთიც რომ...—ის იყო დანანებით წამოიწყო თემურმა, მაგრამ გაჩუმება არჩია.

ფერმის მუშებმა მამას პირთამდე სავსე არყიანი ჭიქა მიაწოდეს.

— ხუმრობა ხომ არ არის, ძმებო,—დაიწყო მამამ,—ას ორი გოჭი ერთ დღეს, ისიც ამ გადარეულ ამინდში, შეემატა ჩვენს ფერმას. დიდი სიხარულია! გაუმარჯოს ამ სიხარულს! —დაამთავრა მამამ და სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა.

—ავქსენტი ბაბუა, აწი ხომ არაფერი გაუჭირდებათ გოჭებს?

— არა, შვილო, აწი არაფერი უშავთ. რაკი დაშრნენ და ძუძუებსაც მიაგნეს,— ყველანი ჩიტებივით დაიზრდებიან.

გ. ღუღუნიშვილი
საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხის საშ. სკოლა, X კლასი.

მიტო გოგრდელაძე,
VII კლასი, თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყემსი

ფარნაოზ გიოშვილი
კაჭრეთის საშ. სკოლა,
VII კლასი.

სადღეგრძელო

მანამ იცოცხლე სამშობლოვ,
გულზე გფენოდეს იანი,
სანამ იქუხებს შენს მთებში
არაგვი არაგვიანი,
სანამდე მტკვარი იდინებს
და იდუდუნებს რიონი,
სანამ დაგცქერის ამაყად
ჭალარა კავკასიონი
და არ მოკვდება ლექსები
რუსთველის, გაღაკტიონის!

ვიტალი ჯაჯუა
გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნაჯიხაოს
8-წლიანი სკოლა, VII კლასი.



ბაზაფხული

არჩილ ამირანაშვილი
39-ე საშ. სკოლა, II კლასი.

მეჯეკილი

მოვიდა გაზაფხული. მინდორი მწვანედ აბიბინდა. აგერ, ალუბლის ხეები თეთრად გადაპენტილან, ატმის ხეები ცეცხლისფრად გალვივებულან. ბეღურები ტოტიდან ტოტზე ხტიან და მხიარულად ჟივჟივებენ. მორაკრაკე წყარო ყვავილებს შხეფებს ასხურებს. კუდმაკრატელა მერცხლებმა ბუდეების კეთება დაიწყეს.

ლურჯთვალა იამ კაბა ნაზად შეარხია და ეშმაკური თვალებით გადახედა პატარა კესანეს.

—გამარჯობა, მეგობარო!

—გაგიმარჯოს!

—კარგად გეძინა ამ ზამთარს?— შეეკითხა ია.

—საბნად თეთრი თოვლი მეხურა, მთელი ზამთარი ტკბილად მეძინა!—მიუგო ცისფერთვალა კესანემ. ამ დროს მოისმა გვირილას ხმა:

—ყვავილებო, ყვავილებო! მოდით, მოდით, პირი დავიბანოთ.

იამ და კესანემ კისრები წაიგრძელეს და ყვავილებში მოთამაშე ნიავს სთხოვეს:

—ნიავო, ნიავო, ჩვენც გვინდა დავიბანოთ პირი, მოგვიტანე წყლის წვეთები.

ნიავმა გაიქროლ-გამოიქროლა, ქურდულად მიეპარა წყაროს, შხეფები მოსტაცა და თავგუდმოგლეჯილი გამოიქცა.

—მოგვიტანე? უჰ, უჰ, რა ცივია!—შესძახეს იამ და კესანემ.

სახეგაბრწყინებულმა ყვავილებმა ყელი მოიღერეს და გაზაფხულის სიმღერა ჩაარაკრაკეს.

ქეთევან აბრამიშვილი
მე-60 საშ. სკოლა,
VII კლასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგონა

თ. აფრიდონიძე
56-ე საშ. სკოლა,
VI კლასი.

დათუნიების სამპარი

მტკვარი ღულუნებს ნელა, ნელა,
თბილისის ტყის დათუნიები
ტყეში ტკბილად
ერთმანეთს ეაღერსებიან.
მზე იცინის ტყეში. ხეებს ფოთლები ცვივა,
ტყეში მზე იცინის, დილით ტყეში ცივა.
დათუნიები თამაშობენ დილით ჩვენს ეზოში,
თანაც ტყეს უხარია,
რომ დათუნიები ხეზე არ ადიან.
ტყემ ფოთოლი მოიმატა,
ტყე შრიალებს ნელა,
დათუნები თამაშობენ, უხარია ყველას.
დედა ეზოში გამოვიდა,
შვილებს დაუძახა:
— შვილებო, ეხლა დაიძინეთ,
მერე ხეზე ახვალთ.
დათუნებმა დაიძინეს, მერე ხეებზე ავიდენ.
ნახევარი— მოგონება, ნახევარი —არა.

მაიკო ფუტკარაძე
6 წლის.
თბილისი.

„ალუ-ბიჭი“

პატარაა, პაწაწინა,
მართლა თითის ტოლა.
ჯერ ვერც დგება
და ვერც ჯდება,
უყვარს ზურგზე წოლა.
ჭყიპინებს და ილიმება,
ჯერ არა აქვს კიჭი;
„ალუს“ ამბობს და ამიტომ
ჰქვია „ალუ-ბიჭი“.

სეირან ბუგიანაშილი
ცხინვალის მე-4 საშ. სკოლა,
III კლასი.

ზემოსევა

ო. შაფათავა
მე-15 საშ. სკოლა,
VII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეჯეჯოჯ

ზური და გია ერთ სახლში ცხოვრობენ, ერთ სკოლაში და ერთ კლასში სწავლობენ. ისინი ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში დამეგობრდნენ და ერთმანეთის ხასიათი კარგად იციან.

ზური ფრიადოსანია, შრომისმოყვარე და მორიდებული, დაუფიქრებლად ნაბიჯსაც არ გადადგამს. გიაც ფრიადოსანია, აკადემიურად ჩამორჩენილ ამხანაგებს დიდ ყურადღებას უთმობს, მაგრამ უარყოფითი მხარეებიც აქვს. საკმარისია უმნიშვნელო მიზეზიც კი, რომ იგი აფეთქდეს. მეტად ჯიუტი და თავნებაა. რა თქმა უნდა, უფროსებს პატივს სცემს, მაგრამ სულ ადვილად კარგავს ხოლმე წონასწორობას და... ერთი სიტყვით, მას კარგიდან ცუდამდე ერთი ნაბიჯი-ღა აშორებს.

სასწავლო წლის მეორე მეოთხედი იწურებოდა.

გია და ზური გაკვეთილების შემდეგ სკოლის ეზოში ჩავიდნენ. იმ დღეს სკოლის პირველობაზე იყო თამაში ფეხბურთში. გია და ზური საუკეთესო ფეხბურთელებად ითვლებოდნენ და ჩვენი კლასის სპორტულ ღირსებას გუნდთან ერთად ისინიც იცავდნენ.

გუნდების მისალმების შემდეგ გაისმა ფიზკულტურის მასწავლებლის სასტვენის ხმა...

დაიწყო თამაში...

დრო იწურებოდა, მოწინააღმდეგენი დაიღალნენ. მაყურებლები შეურიგდნენ თამაშის მოსალოდნელ შედეგს, — ფრეს.

თამაშის დამთავრებას რამოდენიმე წამი-ღა აკლდა, როცა მოწინააღმდეგის კარისაკენ გაჭრილ გიას გზა გადაუღობა დამცველმა, გივიმ. გიას ილეთით მოტყუებულმა გივიმ წონასწორობა დაჰკარგა და, რომ არ წაქცეულიყო, ხელი ჩაავლო გიას ბლუზის საყელოში. გიას ეს არ უგრძვნია და მთელი ძალით გაიჭრა წინ, კარისაკენ.

გივის გიას ბლუზის საყელოს ნაგლეჯი ხელში შერჩა. გიამ ეს მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა მის მიერ დარტყმულმა ბურთმა მოწინააღმდეგის კარის ბადე შეარხია. ჩვენი კლასის გუნდმა გაიმარჯვა, მაგრამ გია უკმაყოფილებას მიანც ვერ მალავდა.

— ეს რად გამიგლიჯე! — გაბრაზებით შეუტია გიამ გივის.

— მე ხომ არ მინდოდა, თავი ვერ შევიკავე და შენს ბლუზას ჩამოვეკიდე...

— არა, შენ განგებ გამიგლიჯე, და ვნახოთ თუ ეს შეგარჩინო. — დაემუქრა გია.

გოგოებმა ნემსი და ძაფი მოიტანეს შრომის კუთხიდან და გიას ბლუზის საყელო მიუკერეს. გივი შორიდან შესცქეროდა და წუხდა, — ეს რა მომივიდაო.

მუშაკეტერი

ა. სამსონიშვილი
მე-12 საშ. სკოლა,
VI კლასი.

დაკურება

შარაშენიძე
52-ე საშ. სკოლა,
V კლასი.

შინისაკენ მიმავალ დაღონებულ გივის ზური და გია წამოეწივნენ.

როცა ისინი ხიდზე გავიდნენ, უცებ გია მობრუნდა, ხელი დასტაცა გივის ქუდს და ადიდებულ მდინარეში გადაუძახა. გიას სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა.

ზური და გივი გაოცდნენ.

— ეს რა ჰქენი! — შესძახა ზურიმ.

— რა და, სამაგიერო გადავუხადე.

— მერე და ეგ ვაუკაცობაა?

— აბა არა? — დამცინავი ღიმილით უპასუხა გიამ.

გივის თვალები ცრემლებით აევსო. ის გრძნობდა მის დანაშაულსაც და გიას უსამართლობასაც, მაგრამ რა უნდა ექნა.

ზურიმ, როცა გივის აცრემლებული თვალები დაინახა, უფრო მკაცრად შეუტია გიას:

— არა, ეგ ვაუკაცობა არ არის! ვაუკაცი მაშინ იქნები, იმ ქუდს მდინარიდან თუ ამოიტან.

გია წამით გაშეშდა, თვალები გაუფართოვდა. მერე უცებ წიგნების ჩანთა დააგდო და სირბილით გაჰყვა დინებას. როდესაც წყლის მიერ წაღებულ ქუდს დაუპირისპირდა, სწრაფად გაიხადა და გადაეშვა აბობოქრებულ მდინარეში.

არც ზური და არც გივი არ მოელოდნენ ამას, ერთმანეთს გადახედეს და გიას ტანსაცმელთან მიირბინეს. ისინი გულისფანცქალით შესცქეროდნენ გიასა და მდინარის ორთაბრძოლას. აი, გიამ მიაღწია ქუდამდე, სტაცა ხელი და ნაპირისკენ გამობრუნდა. ნაპირზე დარჩენილებმა სული მოითქვეს, რამდენიმე წუთის შემდეგ სველი, სიცივისაგან აკანკალებული და გალურჯებული გია, თავდახრილი, უსიტყვოდ აწვდიდა გივის წყლით გაჟღენთილ ქუდს.

ზურიმ და გივიმ ტანზე ჩაცმა უშველეს. გივიმ პიჯაკი გაიხადა და მეგობრული მზრუნველობით მოახურა მას.

— წყალში არ უნდა ჩასულიყავი, ქუდი რაა, ამისათვის თავი უნდა გაგეწირა? — უთხრა გივიმ.

— ახლა ნამდვილი ვაუკაცი ხარ, ახლა მჯერა შენი, — შეაქო მეგობარი ზურიმ, შემდეგ ხელი მოხვია და გივისთან ერთად, ვითომდა აქ არაფერი მომხდარაო, შინისაკენ განაგრძეს გზა.

მეორე დღეს გია სკოლაში არ მოსულა. მასწავლებელმა მიზეზი იკითხა.

— გია ფეხბურთის თამაშის დროს გაოფლიანდა, გაცივდა და სიცხე მისცა, — უთხრეს მასწავლებელს.

გიას ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი მხოლოდ სამმა იცოდა: ზურიმ, გივიმ და გიამ. ამ ამბავმა კიდევ უფრო დააახლოვა ბიჭები ერთმანეთთან და განუყრელი მეგობრობის ჯაჭვი გაბა მათ შორის.

მერი ვანაძე
ხულოს რაიონის სოფ. მეკეიძეების
8-წლიანი სკოლა.

პორტრეტი

ი. ასათიანი
54-ე საშ. სკოლა,
XI კლასი.

ნატურმორტი

თ. ჟუთათელაძე
ქუთაისის მე-9
საშ. სკოლა,
V კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ია და ბავშვები

მუსიკა მაია ბაძრაძისა
თბილისის 62-ე საშ. სკოლა, II კლასი.

ნუ შემახებ პაწაწა ხელს,
ნუ, ნუ-მეთქი, ჩემო კარგო!
ის არა სჯობს, გავიზარდო
და გალნარი მოგიქარგო?!
ჯერ შენსავით პატარა ვარ,
გამახარებს შენი ცქერა,
ახლოს დაჯექ, პაწაწინავ,
გამაგონე შენი მღერა.

ლიდია მეგრელიძე

პორტრეტი

დ. ხუნდაძე
54-ე საშ. სკოლა,
VI კლასი.

— ეჰ, გული მტკივა, შენს ასეთ ყოფას რომ ვუყურებ, — ამოიოხრა ბებერმა კაკლის ხემ და ციხის ნანგრევს გადახედა, — არც კი მახსოვს, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მე და შენ მეზობლად დავსახლდით.

გახსოვს, პირველად არც კი მკადრულობდი, დილაობით სალამზე არ მპასუხობდი? შენ დიდი და ამაყი იყავი, მე კი სულ პატარა.. გავიდა დრო, მეც ტანი ავიყარე, დავვაჟკაცდი, შენც თანდათან ყურადღება მომაქცევ და მერე კი დილიდან საღამომდე მეჩურჩულებოდი. მე შენი კედლების იქით გადავყურებდი შენი ბინადრების საქმიანობას. ერთხელ მეციხოვნეებმა მოსვენება დაკარგეს, ისინი ვიღაცას, თუ რაღაცას ელოდნენ, ფაცი-ფუცით მიმორბოდნენ, გალავანზე გუშაგები ჩამწკრივდნენ. შენ მშვიდად უყურებდი მათ საქმიანობას, თითქოს ყოველივე ეს არც კი შეგეხებოდა. მაგრამ ერთ დღეს საშინელება ვიხილეთ. დილით ხმაურმა გაშომაღვიძა, ირგვლივ ბრძოლის ყიჟინა, ხმლების ჩახა-ჩუხი და დაჭრილთა კვნესა ისმოდა. შენ ბრძოლის ალში იყავი გახვეული, მინდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ნადირაძე
55-ე საშ. სკოლა, II კლასი.

ირემი

მოგონება

და მოგშველებოდი, მაგრამ რა შემეძლო მე უბედურს. ცდილობდნენ — შენი კედელი შემოენგრიათ, მაგრამ ისე მტკიცედ იყავი ნაშენი, რომ ვერაფერი დაგაკლეს. მამაცურად უძლებდი ყოველ შემოტევას, მერე მტერი იძლია და უკან გაბრუნდა. მე გამარჯვება მოგილოცე. შენ დაღლილი იყავი, ალაგ-ალაგ კალთა ჩამოგხეოდა, ჭრილობა ბევრი გქონდა, ტკივილისაგან სახე მოგქცეოდა. არც მე მადგა კარგი დღე, ჩემი მწვანე კაბა დაცხრილულიყო და ტოტებიც ჩამომტვრეოდა.

ვინ მოთვლის, კიდევ რამდენჯერ გადავიტანეთ ასეთი გაჭირვება. ბევრს გაუძელი, მაგრამ ერთხელ, დაიქცეს ის დღე, მტერი ურიცხვი მოვიდა, თან რაღაცა მანქანები მოიტანეს და ლოდები დაგიშინეს. შენ ამდენი ვეღარ აიტანე, ჩამოიქცა შენი კედლები, მტერმა დაგანგრია და... მოგაოხრა. მეც გაჭირვებაში ვიყავი, ნახევარი ძხარი ჩამომეხლიჩა, ტკივილისა და ბოღმისაგან სულს ძლივს ვითქვამდი. მინდოდა, ერთიანად გამეჟლიტა ისიხი, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო, მაგრამ ძალა არ შემწევდა და ვიტანჯებოდი, ჩუმად ვნატრობდი მხსნელს.

თითქოს ყველამ დაგვივიწყაო ამ ბრძოლის შემდეგ, კარგა ხანს აღარავინ არ მოგვაკითხა. მე ჭრილობები მომიშუშდა. მაგრამ შენ, შენ კი არა გეშველა რა; ოხრავდი, შველას ითხოვდი. მე შველა არ შემეძლო და შენი საცოდაობით გულს ცეცხლი მეკიდებოდა.

დრო კი გადიოდა და გადიოდა.

ჩვენს გარშემო თითქოს რაღაც ახალი მოხდა. ჩვენამდე ხალხის მხიარული ყიჟინა და სიმღერა აღწევდა. დიდი დრო დაგვჭირდა, სანამ გავიგებდით, თუ რა მოხდა.

ერთ დღეს, როცა მზეს ვეფიცხებოდით და თან წარსულს ვიხსენებდით, ჩვენსკენ მომავალი ბავშვები შევნიშნეთ, მათ ბედნიერი ღიმილით განათებოდათ სახეები და მხიარულად მღეროდნენ. არა, ისინი არ გავდნენ იმ ბავშვებს, რომლებიც ჩვენ ადრე გვენახა, მუდამ ნამტირალევი სახეებით.

ბავშვებმა შენ მოგაშურეს, და მე თითქოს შემშურდა, მაგრამ ეს მხოლოდ წუთით. მათ არც მე დამტოვეს უყურადღებოდ. ჩემს ჩრდილში ჩამოსხდნენ და შეისვენეს, შემდეგ შენი ნანგრევები დაათვალიერეს. დაღონდნენ, ასე დანგრეული და დამახინჯებული რომ გნახეს და გადაწყვიტეს — კვლავად ხშირად მოსულიყვნენ აქ.

იმ ღამეს მშვიდად დაგვეძინა. ძას აქეთ კი ადატარების ყურადღება აღარ მოგვკლებია.

შენ რატომ არაფერს არ ამბობ, ჭირის ძმაო? ალბათ, ჩემმა მოგონებამ დაგაფიქრა. არა უშავს, გულს ნუ გაიტეხ, კიდევ საჭირონი ვართ, რომ ხალხს წარსული გავახსენოთ.

უჰ, დაღამებულა კიდეც, ალბათ, უკვე გეძინება, მეტს აღარც მე შეგაწუხებ.

ძილინებისა, ჩემო მეგობარო!

მედეა წინწკალაძე
ახალციხის რაიონის სოფ. ტოლოშის
საშ. სკოლა, XI კლასი.

ბოგორა ‡ იები

ეს იყო წინათ. მაჩუბში გამეფებულ სიბნელეს ნელ-ნელა ფანტავდა მზის სხივები. ბნელ კუთხეში, ხის ტახტზე იწვა შვიდი-რვა წლის გოგონა. გაფითებული სახე, ჩაცვენილი თვალები მეტყველებდა, რომ გოგონა მძიმე ავადმყოფი იყო. საწოლთან შავებით მოსილი ქალი ჩაჩოქილიყო. ბავშვს ხანდახან ყრუდ ახველებდა. ამას ერთვოდა ქალის ჩუმი და გულისმომკვლელი ოხვრა.

— დედი,—გაისმა ბავშვის მთრთოლვარე ხმა.

— რა გინდა, მანოლ?

— ბნელა... სული მეხუთება. ყვავილებთან მინდა... ავდგები, წავალ, ტყეში წავალ...

გოგონამ ასადგომად წამოიწია; პაწია, გალეული ხელები მკერდზე მიიდო, თავი ვერ შეიმაგრა, მწარედ დაიკვნესა, მოწყვეტით დაეცა საწოლზე და აქვითინდა.

უცებ, შორიდან „მირანგულას“ ჰანგები მოისმა; ბავშვი გაჩუმდა, დიდხანს უსმენდა ტკბილ, ნაღვლიან სიმღერას.

— გესმის, დედი?—ჩურჩულებდა გოგონა,—ქარი ზუზუნებს, მირანგულა მოდის, ნამქერში სული ეხუთება... მარილი მოაქვს მირანგულას, ებრძვის ქარბუქს. აი, დაეცა, მერე წამოდგა. მოდის, რომ ნახოს სახლი, დედა... ღონე ელევა მირანგულას. დაეცა... უფსკრულში გადაიჩეხა. უფსკრულის პირთან თმებგაშლილი ქალი დგას და მოთქვამს:—სად ხარ, შვილო მირანგულა! ეგებ გათოშილი გდიხარ სადღაც ხევში. გამეცი, შვილო, ხმა.

ბავშვის ლოგინთან იების კონა იდო. ვიწრო სარკმლიდან მზე იხედებოდა. გოგონა ნაზად ეფერებოდა ყვავილებს და ჩურჩულებდა:

— გიყვარს, დედი, დილა? მე მიყვარს... იმიტომ რომ, დილით მზე ამოდის და ყვავილები იღვიძებენ. მე ყვავილები მიყვარს, აი, ეს იები მიყვარს... ჩემი იები ჭკნებიან. ახლა იებიც ავად არიან...

იჯდა დედა საწოლთან და ქვითინებდა; იგი შვილის გადარჩენას ღმერთს შესთხოვდა,—იმ დროს სოფელში ექიმი არ იყო.

გულიკო ფილფანი
მესტიის საშ. სკოლა,
X კლასი.

ეტიუდი

ნ. ებანოიძე
ნნ-ე საშ. სკოლა, IV კლასი.

დააკვირდი

გაბაფხულდა,
გაზაფხულდა,
გადამწვანდა მთა და ველი,
გაიფოთლა არე-მარე
მშობლიური, საყვარელი.

ჰა, მდინარეც გაიზარდა,
აღარაფრის არ აქვს რიდი,
იაიაც გაიშალა,—
დამაზია, დააკვირდი!

დემურ ქარელანიძე
წულუკიძის მე-2 საშ. სკოლა,
IX კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა აბულაძე
1-ლი საშ. სკოლა,
VI კლასი.

ოქროსფერი ფოთოლი

მივდივარ ქუჩაში. ირგვლივ ოქროსფერი ფოთლები ცვივა. უცებ, ერთი ფოთოლი დავინახე, რომელიც ძალიან ლამაზი იყო. მე იგი სახლში წამოვიღე და წიგნში შევინახე. ბინდი ჩამოწვა, დაღამდა და დასაძინებლად დავწექი. დამესიზმრა, თითქოს ფოთოლი გაცოცხლებულიყო, ენა ამოედგა და თავის თავგადასავალს მიამბობდა:

,,გაზაფხულზე დავიბადე, ჰატარა აკვანში ვიწექი, რომელსაც თქვენ, ადამიანები, კვირტს ეძახით. თანდათანობით გავიშალე და გავიზარდე. მოვიდა ზამთარი, სუსხმა ეუნწში მომწყვიტა და ძირს ჩამოვვარდი, შენ შემნიშნე და სახლში წამოიღე. შენ კარგი ბიჭი ხარ, ნაგავს რომ არ გამატანე".

დილით ფოთოლი წიგნიდან ამოვიღე, სიზმარი გამახსენდა და უნებლიედ გამეღიმა.

გასეირნება

თამარ კუპარაშვილი
6 წლის.

შეშინებული ირემი

მე-60 საშ. სკოლა,
VII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი

ე. სილაგაძე
რკინიგზის 1-ლი საშ. სკოლა,
IV კლასი.

სვანური კოშკი

ვ. შარაშენიძე
52-ე საშ. სკოლა, V კლასი.

ნაკაღული ნაკვალევი

მე, უღრან ტყეში დაბადებული ნაკადული ვარ. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ტყეში ჩემი შეუწყვეტელი ჩუხჩუხი ისმის... აი, ეს გამხმარი, გამოფიტული, ბებერი ხეები ჩემი დიდი ხნის ნაცნობები არიან. ოდესღაც ისინი თავს იწონებდნენ თავიანთი სიმაღლით და სიმძლავრით. ახლა კი უკვირთ, ვერ გაუგიათ, რატომ მეც ისე არ ვბერდები, როგორც ისინი. ის კი არ იციან, რომ მე დაბერებისა და დაშრობის ნება არა მაქვს.

რომ წარმოვიდგენ, რას დაემსგავსებოდა ეს ტყე უჩემოდ, ელდა მეცემა და ტანში მზარავს... მართალია, მეც ტყემ მომანიჭა სამუდამო სიცოცხლე, მაგრამ თვითონ ტყეც ხომ ვერ იარსებებდა უჩემოდ.

წელიწადის ყველა დრო მიყვარს. მიყვარს ოქროსფერი შემოდგომაც. ყვითელი, ზოგან კი მოწითალო ფოთლები რომ ეფინებიან მიწას. ისინი ჩემს მჩქეფარე ტალღებშიც შეცურდებიან, დანავარდობენ და მათ გაბმულ შრიალში რაღაც ჯადოსნურ მუსიკას ვისმენ. ალაგ, მზის სხივები ჩემს ფსკერამდე აღწევენ, ყოველ კენჭს ანათებენ. მე კი, ჩემს მკერდზე დაცვენილ ფოთლებს, რომლებიც ოქროს ტივებს მაგონებენ, — შორს მივაქროლებ.

ბუნების ამ მომაჯადოვებელ სილამაზეში ზოგჯერ იმ სიმღერებსაც შეაქვს თავისი წვლილი, რომლებიც შორიდან მოისმის და მთებში ჰპოვებენ ხოლმე გამოძახილს.

დიდებული სანახავია შემოდგომით ერთმანეთზე მიჯრილი ფოთლოვანი და მარად მწვანე ხეებით დაფარული, ცამდე აზიდული მთები, რომლებსაც თითქოს საგანგებოდ შეღებილი, წითელი ბუჩქები ამშვენებენ. ზოგან ამ სურათს ნაპრალებიანი კლდეები ცვლიან. მე იქაც, კლდეთა შორისაც მივედინები, ვჩხრიალებ, ბროლის ნამსხვრევებად ვქუცმაცდები და ვბრწყინავ მზეზე.

კიდევ რამდენიმე ხანი და აცივდება. გვიანი შემოდგომის ცივი ქარი დაუნდობლად გაწეწავს ხეებს, მიმოფანტავს გაყვითლებულ ფოთლებს, ცაში აიტაცებს, მერე ღონემიხდილებს ჩამოჰყრის ძირს და ამით უფრო ააჭრელებს მიწაზე გაფენილ ფოთლებითვე ნაქსოვ ხალიჩას...

ახლა, ერთ ფოთოლზე მინდა გიამბოთ: ჩემს ახლოს ერთი მაღალი ხე იდგა. მას რამდენიმე ფოთოლიღა შერჩენოდა. ერთი მათგანი შიშისაგან თრთოდა, შემოდგომის ქარს ევედრებოდა, — დამინდე, ნუ გამწირავო.

ქარს არ უნდოდა ფოთლის ხეზე დატოვება, — არ გირჩევო! — უთხრა; მაგრამ რომ აღარ მოეშვა, შეებრალა და დატოვა.

მშიშარა ფოთოლი წელში გაიმართა, გათამამდა და ზემოდან ამაყად დაჰყურებდა თავის ძველ ამხანაგებს, რომლებიც ტრიალით ცვივოდნენ ძირს.

დაღამდა. ღრუბლებიდან ოქროს ნავივით გამოცურდა ნახევარმთვარე. მშიშარა ფოთოლს ძირსდაცვენილი თანამოძმეების საყვედური შემოესმა. ქვევით ჩამოიხედა და კანკალი აუტყდა; ძველი მეგობრები კიცხავდნენ, არცხვენდნენ, დასცინოდნენ მას. მშიშარა კი საცოდავად ეკვროდა, ებღაუჭებოდა ტოტს...

აცივდა. დაუბერა სუსხიანმა ქარმა და ზამთრის დედოფალმაც კალთა გადმოიბერტყა.

მე უკვე ყინულის ქვეშ ვიყავი ჩაჭედილი და იქიდან შევცქეროდი ციდან მოფარფატე თოვლის თეთრ ფიფქებს.

თოვლის ფაფუკი საბნის ქვეშ თვლემდა ყოველი. მარად მწვანე ხეებიც გადაპენტილიყვნენ. ზამთრის დედოფალი კი მაინც არ ცხრებოდა, გულდაგულ იბერტყავდა კალთას და ციდან გულუხვად აფრქვევდა ფანტელებს...

* * *

მიიწურა ზამთარი. თოვლის ფიფქები იშვიათად თუ ცვივოდნენ ციდან. დაუბერა გაზაფხულის სიომ. იგრძნო ეს ენძელამ და გაიღვიძა. იგი სიხარულით ელოდა ამ დღეს და, ცდილობდა, რაც შეიძლება მალე ამოსულიყო მიწიდან, რათა ერთხელ მაინც გადაევლო თვალი თეთრი საბნისათვის. თოვლსაც უნდოდა ენძელას ნახვა, თუმცა იცოდა, რომ ეს მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღე იქნებოდა.

და აი, დადგა ეს დღე. ენძელამ სიხარულით გაახილა თვალი, მიწიდან ამოიწვერა და ფიფქს მიეგება, მაგრამ ფიფქის ნაცვლად ნამის ერთად-ერთი წვეთიღა დაედინა სახეზე. „მშვიდობით", — მიაძახა ამ წვეთმა და მე შემომიერთდა. ჩემს გარდა არავინ იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ ეს წვეთი იმ საცოდავი ფიფქის ცრემლი იყო.

გაზაფხულმა მეც გამანთავისუფლა ყინულის ბორკილებისაგან, გამაძლიერა, გამათამამა და მეც გულდაგულ შევუდექი მიწის პირზე დატოვებული ზამთრის ნაკვალევის გადარეცხვას.

ხეები ფოთლებით შეიმოსნენ. აბიბინებულ ბალახში გაზაფხულმა უხვად ჩააქსოვა ფერადი ყვავილები, გამოაცოცხლა, გაამხიარულა, აამღერა ჩვენი ტყე.

შორეთიდან დაბრუნებული მერცხლები თავს გვევლებოდნენ, გვიამბობდნენ იმაზე, რაც უცხო ქვეყნებში გაეგონათ და ენახათ... ბულბულები ვალობდნენ, ჭიკჭიკებდნენ ჩიტუნები, შრიალებდნენ ფოთლები და მეც ჩუხჩუხიო ავყევი მათ ხმას. ეს იყო ჩვენი სიმღერების უტკბესი ჰანგები, რომელიც გაზაფხულმა შეგვძინა.

ამ წარმტაც სურათს მხოლოდ ის მშიშარა ფოთოლი ამახინჯებდა, რომელმაც თავისი ამხანაგების ბედი არ გაიზიარა; ახლად გაშლილ ფოთლებში თავჩაქინდრული ზეზეურად ლპებოდა. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რატომ არ ურჩია შემოდგომის ქარმა ხეზე მარტოდ დარჩენა. ჰო, მიხვდა და ანობდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო; ადგილის დედამ დასაჯა იგი. მთელი ზაფხული ამ სამარცხვინო ტყვეობაში გაატარა და მერე მთლად დალპა...

ო, რამდენი რამ მომხდარა ჩემი წყლით გახარებულ ტყეში, მაგრამ ჯერ-ჯერობით, რაც გიამბეთ, — ეს იკმარეთ.

მანანა ხომერიკი
1-ლი საშ. სკოლა, VII კლასი.

ზეციური

გერმანულიდან თარგმნა
მანანა ძოძრაშვილმა
რკინიგზის I-ლი საშ. სკოლა, VIII კლასი.

ერთ სოფელში მცხოვრები ცოლ-ქმარი ქალაქად ქორწილში დაპატიჟეს. ქალაქამდე დიდი გზა იყო, ორივე ვერ მიატოვებდა სახლკარს, ამიტომ მხოლოდ ერთ მათგანს შეეძლო წასვლა.

—სახლში დარჩი!—უთხრა ცოლმა,—შენ ისედაც ხშირად დადიხარ ქალაქში, მე კი მთელი წელიწადი სახლში ვზივარ...

—არა, ეს ასე არ ივარგებს, —უპასუხა ქმარმა, —ჯერ ერთი, ძროხის მოწველა არ შემიძლია, გარდა ამისა, ქალაქში მამაჩემთან საქმე მაქვს.

ასე გაუთავებლად დავობდა ცოლ-ქმარი ბოლოს, ცოლმა მოისაზრა: სოფლის მეორე მხარეს მდებარე მოლაპარაკე მთისათვის ეკითხათ რჩევა.

—ეს არ არის ცუდი აზრი! —უპასუხა ქმარმა და საჩქაროდ მივიდნენ მთასთან.

პირობის თანახმად, პირველად ქმარმა შეჰყვირა მთას:

—მე... ქორწილში წავიდე თუ სახლში დავრჩე?

—სახლში დარჩე, —უპასუხა მთამ.

დადგა ქალის ჯერი:

—სახლში დავრჩე თუ ქორწილში წავიდე?

—ქორწილში წახვიდე! —უპასუხა მთამ.

—ხედავ, —უთხრა ცოლმა ქმარს, —მთაც ისე ფიქრობს, როგორც მე.

გადაწყდა: ცოლი ქორწილში წავიდა, ქმარი სახლში დარჩა.

ორლოგე

ნ. დადიანი
43-ე საშ. სკოლა, VIII კლასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტიუდი

გ. ენაგელი
36-ე სკოლა,
IX კლასი.

სამი სურვილი

(ძველი ინგლისური ზღაპარი)

ძველად, ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდა ერთი ღარიბი ტყისმჭრელი. ინათებდა თუ არა, აიღებდა ხოლმე ცულს და ტყეში მიდიოდა. მთელ დღეს მუშაობდა და მხოლოდ გვიან ღამე ბრუნდებოდა შინ.

გადიოდა წლები, ტყისმჭრელი თანდათან ბერდებოდა და უძლურდებოდა.

ერთხელ მუხას მიადგა მოსაჭრელად. უცებ ისეთი სისუსტე და დაღლილობა იგრძნო, რომ ცული ხელიდან გაუვარდა. ღონემიხდილი ხის ქვეშ ჩამოჯდა, მძიმედ სუნთქავდა. სული რომ მოიბრუნა, თავისთავს გამოელაპარაკა: — აი უკვე რამდენი წელია ვცხოვრობ, მაგრამ მძიმე შრომისა და გაჭირვების მეტი, არაფერი მინახავს. ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა გავიხარო ჩემს სიცოცხლეში?

— მე დაგეხმარები! — შემოესმა მოულოდნელად. გაოცებულმა მოხუცმა თავი მიაბრუნა და მშვენიერი ფერია დაინახა.

— მოვისმინე შენი საყვედური და გადავწყვიტე, დაგეხმარო, — უთხრა ფერიამ, — ამ საღამოს შეგისრულებ სამ სურვილს, რომელსაც შენ ინატრებ.

შემცბარი მოხუცი ვიდრე რამეს ეტყოდა, ფერია გაქრა.

საღამოს, როცა ტყისმჭრელი სახლში მივიდა, ყველაფერი უამბო ცოლს, რაც ტყეში შეემთხვა. მოხუც ქალს ძალიან გაუკვირდა. მერე კი მოჰყვა ჩამოთვლას, თუ რა უნდა ენატრათ: ახალი სახლი, ძროხა, კარგი კაბები, ცხენები, — გააგრძელა, აღარც ფიქრობდა ლაპარაკის შეწყვეტას. ტყისმჭრელს მობეზრდა ცოლის უსარგებლო ყბედობა და უთხრა: — კარგი, გეყოფა ლაპარაკი, ამაზე მერე ვილაპარაკებთ, ახლა კი რამე მაჭამე, ძალიან მშიაო.

ცოლმა სუფრა გაუწყო.

— რა? ისევ ფაფა და ხმელი პური? მომაბეზრა თავი მუდამდღე ხმელი პურის ჭამამ! ეჰ, ნეტა ახლა ძეხვი მომცა!

ამ სიტყვების დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ სუფრაზე ძეხვი გაჩნდა. ტყისმჭრელი და მისი ცოლი სახტად დარჩნენ, სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდნენ. დედაბერი გონს როცა მოვიდა, ქმარი გაკიცხა:

— ძეხვი რაა და მისი ნატვრა რაღა იყო? ნუთუ არ შეგეძლო უფრო კარგი რამ გენატრა? ახლა ხომ დავკარგეთ ერთი ნატვრა.

— გაჩუმდი, შე ბებერო ყბედო! — დაუყვირა გაბრაზებულმა ტყისმჭრელმა, — ერთი მაგ ცხვირში მოგხვდებოდეს ეს ძეხვი!

თქმა და საქმე ერთი იყო, — ახტა ძეხვი და დედაბერს შიგ ცხვირში ეტაკა, — უმოწყალოდ უჩაჩქურებდა.

მეორე სურვილიც შესრულებული იყო...

ამაოდ ცდილობდა მოხუცი ქალი ცხვირიდან ძეხვის მოშორებას.

ტყისმჭრელს შერცხვა. ცოლი შეებრალა და ინატრა: — ნეტა ეს ძეხვი დაწყნარდებოდესო და, ძეხვიც მაშინვე დაშოშმინდა. ცოლმა სული მოიბრუნა.

ასე შეუსრულა ფერიამ მოხუც ტყისმჭრელს სამივე სურვილი. ცოლ-ქმარი მიხვდა, რომ საკამათოც არაფერი ჰქონდათ და ისღა დარჩენოდათ, მაგიდას მისხდომოდნენ და ძეხვს შეჰქცეოდნენ.

ინგლისურიდან თარგმნა
მზია ჯანგულაშვილმა

I-ლი საშ. სკოლა,
V კლასი.

გამოცანა

უყვავილო მცენარეა,
დაკმილული ფოთლებით.
არც რგავენ და არც თესავენ,
თვით მრავლდება სპორებით.

რომ გინდოდეს მისი მოთხრა,—
დაგჭირდება ჭიდილი
ეთხვის ნიშანს მოგვაგონებს
მისი ნორჩი ჩითილი

ტარიელ გოტიაშვილი.
126-ე საშ. სკოლა.
VI კლასი.

გარეკანის პირველ გვერდზე — „**დაე მუდამ იყოს მზე**“. ნახატი ვაშა მელიქიშვილისა

რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, როსტომ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 04336 ტირ. 33.500. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 25/V-64 წ. სტამბის შეკვ. 1094. გამომც. შეკვ. 260. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

შვლის ნუკრის
ნაამბობი

თ. ბიჭიაშვილი
ცხ-ე საშ. სკოლა.
VI კლასი.

მოხუცი სვანის პორტრეტი

დ. ყიფშიძე
თბილისის 37-ე საშ. სკოლ
IX კლასი.



ნატურმორტი

ი. სიხარულიძე
თბილისის 54-ე საშ. სკოლა.
IV კლასი.

ვაჟა დათეგაშვილი.
თბილისის მე-4 საშ. სკ
V კლასი.

პეიზაჟი

ციალა კევლიშვილი
ბაკურის საშ. სკოლა.

დამალობანა

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხურათების მხატვარი თბილისელი გოგონა ელისო ცაბაძე 24-ე საშუალო სკოლის IX კლასში სწავლობს. იგი, როგორც ბევრი თქვენთაგანი, პატარაობიდანვე ხატავდა. მას უკვე ორასზე მეტი პორტრეტი თუ ნატიურმორტი აქვს დახატული. ახლახან ხელოვნების მუზეუმში გამოფენილმა მისმა 13 ნამუშევარმა, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ელისოს ერთი ნახატი „მებადური და გოგონა“ შორეულ ჩილეში გამოფენილი,—ახალგაზრდა მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე.

ვბეჭდავთ ელისო ცაბაძის სამ ნამუშევარს.



ქალიშვილის პორტრეტი

ცამაია

ფველი ღამეში